

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№5 (304)
მაისი
2022

25 წელი ერთად...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 5 (304)

მაისი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფელერაციიდან	3
საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება	
პროფესიული სერტიფიცირების კრედიტინტითა დასახმარებლად რეზერვას უძღვება გაცი ალკვერდაშვილი	
ობლიგაციის შეფასება და ობლიგაციის შემოსავლიანობა მოდული „ფინანსური მართვა“ (უმაღლესი დონე)	17
გამოცდის ჩაბარების ტექნიკა რამოდენიმე რჩევა იმის შესახებ, რა არ უნდა გააკეთოს კანდიდატმა გამოცდაზე მოდული „სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“	24
აუდიტის სამუშაო დოკუმენტები – ეფექტიანი აუდიტორული მომსახურება მოდულები – „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ და „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)	29
 <i>საბა ძახარია</i>	
ახალი გამოკითხვა აჩვენებს, რომ ფინტეკი მომავალია, თუმცა ბუღალტერიისა და ფინანსების პროფესიონალების ჩართულობა აუცილებელია ნდობის ასამაღლებლად	35
მდგრადი ვალი – ეკონომიკური გარდაქმნის გასაღები	37
ოფიციალური მასალები	38
კითხვა-პასუხი	50
ინფორმაცია ბირჟებიდან	56

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი
კორექტურა: თ. ცქიტიშვილი

ბაფის გამოცდების ცხრილი 2022 წლის ივლისი



1. გამოცდები ყველა მოდულში ჩატარდება პროფესიონალ ბულალტერთა ინსტიტუტის შენობაში მისამართზე: ქ. თბილისი, დიდუბე, ბაქრაძის ქ. N6^ა
2. გამოცდები დაიწყება 10⁰⁰-დან -11⁰⁰ სთ-მდე (ოთახების შევსებისთანავე) ცხრილში მოცემული გრაფიკით.
3. რეგისტრაცია დაიწყება 10⁰⁰ სთ-ზე. ბაფის წევრობის მოწმობისა და პირადობის მოწმობის გარეშე კანდიდატი არ დაიშვება გამოცდაზე.
4. გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება რეგისტრაციის ნომრების მიხედვით ვებგვერდზე www.gfpaa.ge განათლება და სერტიფიცირება/სერტიფიცირებული პროგრამა/ გამოცდები /გამოცდის შედეგები – 20 ივლისის ყველა გამოცდის დასრულების შემდეგ.

მოდული	გამოცდის თარიღი	გამოცდაზე რეგისტრაციის ვადები	გამოცდის დაწყების დრო	დაიწავით
F1/ბბ	4.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	<ul style="list-style-type: none"> • გთხოვთ გამოცდებზე ონლაინ დარეგისტრირდეთ მითითებულ ვადებში. • ონლაინ დარეგისტრირების გარეშე პირი გამოცდაზე არ დაიშვება. • გამოცდის ონლაინ რეგისტრაციის განაცხადი შეგიძლიათ გააუქმოთ გამოცდამდე მინიმუმ 3 დღით ადრე. • აუცილებლად გაეცანით გამოცდის გამოქვეყნებულ წესებს. • ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გამოცდის თარიღისათვის გამოცდის წესებში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები.
F2/მა	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F3/ფა	2.07.2022	01.06.2022-27.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F4/ქბს	8.07.2022	01.06.2022-01.07.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F4/GBL	8.07.2022	up to May 28 th	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F5/სშმ	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F6/სდ	10.07.2022	01.06.2022-03.07.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ (კალკულატორი სავალდებულოა)	
F6/BT	10.07.2022	up to May 28 th	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F7/ფან	2.07.2022	01.06.2022-28.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F8/ამმ	4.07.2022	01.06.2022-28.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F9/ფმ	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
P2/სსა	4.07.2022	01.06.2022-28.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
P4/უფმ	8.07.2022	01.06.2022-01.07.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
P7/უამმ	2.07.2022	01.06.2022-27.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
სბლ	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	

გამოცდებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მითითებულ ვადებში!

F3/ფა – F7/ფან – P7/უამმ	2.07	F4/ქბს – P4/უფმ – F4/GBL	8.07
F1/ბბ – F8/ამმ – P2/ სსა	4.07	F6/სდ – F6/ BT	10.07
F2/მა – F5/სშმ – F9/ ფმ – სბლ	6.07		

შენიშვნა: გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ 2023 წლის იანვრიდან I და II ეტაპის მოდულების გამოცდის საფასური იქნება 250 ლარი.

ბულალტერთა 21-ე მსოფლიო კონგრესი ინდოეთში (მუმბაი)

ინდოეთის სერტიფიცირებულ ბულალტერთა ინსტიტუტი (ICAI) უმასპინძლებს ბულალტერთა 21-ე მსოფლიო კონგრესს (WCOA 2022) თემაზე: **„ნდობის გაძლიერება, მდგრადობის უზრუნველყოფა“**.

მსოფლიო კონგრესი ჩატარდება 18-21 ნოემბერს, ახლახან გახსნილ, განსაცვიფრებელ მსოფლიო კონფერენციის ცენტრში (JIO World Convention Centre).

კონგრესის თემა ასახავს პროფესიის მუდმივ ერთგულებას ინფორმაციისა და ეკონომიკის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად, საზოგადოების ინტერესების დასაცავად და, ამავე დროს, ჩვენს მზარდ და ცენტრალურ როლს მდგრადობის უზრუნველყოფაში.

1904 წლის პირველი მსოფლიო კონგრესიდან მოყოლებული, WCOA 2022 იქნება პირველი ჰიბრიდული მსოფლიო კონგრესი, სადაც შესაძლებელია როგორც ფიზიკური, ასევე ონლაინ მონაწილეობა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში COVID-თან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების გამო, ვიმედოვნებთ, რომ WCOA 2022 იქნება ღონისძიება, სადაც ეს პროფესია კვლავ გაერთიანდება.

2022 წლის 30 ივნისამდე დარეგისტრირების შემთხვევაში შესაძლებელია ფასდაკლებით სარგებლობა (ფიზიკური მონაწილეობისათვის – \$472, ვირტუალისათვის – \$34), ხოლო 30 ივნისის შემდეგ – სრული გადასახადია \$565/\$40.

დელეგატის გადასახადების გადახდა მხოლოდ ინდური რუპიით (INR) ხდება, ადგილობრივი ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით ექვივალენტური გადასახადები გამოყენებულ იქნება ადგილობრივ ვალუტაში.

დარეგისტრირდით ბულალტერთა 21-ე მსოფლიო კონგრესზე!

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ ესტუმროთ საიტს:

<https://www.wcoa2022mumbai.org/>

ან/და დაუკავშირდეთ ბათის ადმინისტრაციას.



საქართველოს პროფესიონალ ბუნდოვანობა
და აუდიტორთა ფედერაციის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)

		2021წ.	2020წ.
ამონაგები	1)	621 730	692 273
სხვა შემოსავლები	2)	281 053	356 429
ცვლილებები მარაგის ნაშთში		(53 649)	(46 747)
შეძენილი ნედლეული და მასალები		(66 605)	(129 118)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(489 538)	(505 201)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(20 349)	(22 914)
სხვა ხარჯები	3)	(345 307)	(377 597)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(72 665)	(32 875)
საგადასახადო ხარჯი		0	0
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		(72 665)	(32 875)
ბათის განვითარების ფონდი		1 314 271	1 386 936

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები		31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, ნეტო	4)	100003	118108
არამატერიალური აქტივი	5)	4186	5155
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		312400	312400
სულ გრძელვადიანი აქტივები		416589	435663
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	6)	100077	153726
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7)	300751	279722
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8)	642568	670036
სულ მიმდინარე აქტივები:		1058336	1103484
სულ აქტივები:		1474925	1539147
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
ბაფის განვითარების ფონდი		1386936	1419811
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		(72665)	(32875)
სულ კაპიტალი და რეზერვები		1314271	1386936
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9)	150140	141008
საგადასახადო ვალდებულებები	10)	10514	11203
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		160654	152211
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1474925	1539147

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	768551	782423
საწევრო შენატანები	147883	144609
მიღებული დივიდენდი	0	33915
სხვა საოპერაციო შემოსავლები	44917	31853
გადახდილი იჯარა	(104425)	(109050)
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(91338)	(123133)
გადახდილი ხელფასები	(394166)	(336723)
გადახდილი საწევრო	(16506)	(15278)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდები	(88835)	(283492)
გადახდილი გადასახადები	(190959)	(175057)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(24878)	(49933)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საწარმოს წილის შეძენა	0	(6000)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2590)	(2925)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2590)	(8925)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(27468)	(58858)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	670036	728894
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	642568	670036

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ პროფესიულ ორგანიზაციას (რეგისტრირებული კავშირი). ბაფის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 61. ბაფის საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბაფის ინდივიდუალურ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ბაფი საქმიანობას ახორციელებს სათაო ოფისისა (ქ. თბილისი) და შემდეგი რეგიონალური და რაიონული ფილიალების მეშვეობით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი
- გორის რაიონული ფილიალი

ბაფს წილობრივი მონაწილეობა (51%) აქვს შვილობილ კომპანიაში შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“ და (100%) აქვს ასევე იურიდიულ პირში – შპს “ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება”

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბაფმა მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. წინა პერიოდებში ბაფი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად იყენებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებულ მცირე სანარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებულ სტანდარტს.

საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

11 ჯგუფების დასახელება	ცვეთის ნორმა %
1 ოფისის აღჭურვილობა	20-30
2 ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50
3 სარტანსპორტო საშუალებები	10-15

მარაგი

მარაგები ბალანსში ასახულია შეძენის, დამზადების თვითღირებულებასა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესი გასაყიდი ფასით. მარაგების შეფასებისას გამოყენებული იყო „ფიფო“ მეთოდი.

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში. გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს გადავადებულ შემოსავლებს (რომელიც გრანტისა და შემოწირულობის სახით მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლფასია).

შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით. შემოსავლები, როგორცაა ფულადი გრანტი, შემოსავალში ასახულია მათი გამოყენების მომენტში. არაფულადი აქტივის სახით მიღებული შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მათი გაყიდვისა და ცვეთის დარიცხვის შესაბამისად. სანევროები დარიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

შვილობილ და მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია შეფასებულია დაგროვილი გაუფასურების ბარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

1. ამონაგები

შენიშვნა 1

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იზიფრება:

ამონაგები

დასახელება	2021 წ	2020 წ
რეალიზაცია	82705	133392
მომსახურების განწევა	411531	453725
სხვა საოპერაციო შემოსავალი	<u>127494</u>	<u>105156</u>
სულ ამონაგები:	621730	692273

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. მომსახურებაში გაერთიანებულია ბაფისა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

2. სხვა შემოსავლები

შენიშვნა 2

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული. მათი შემადგენლობა შემდეგია:

დასახელება	2021წ	2020წ
კორპორაციული წევრების საწევრო	89000	89000
ფიზიკური პირების საწევრო	130704	141188
გაწევრიანების საფასური	2310	2440
დივიდენდი	0	35700
საპროცენტო შემოსავალი	49574	51833
შემოწირულობა და გრანტებით შეძენილი წიგნები	0	23804
საკურსო სხვაობა	1795	0
სხვა შემოსავალი	<u>7670</u>	<u>12464</u>
სულ სხვა შემოსავლები:	281053	356429

3. სხვა ხარჯები**შენიშვნა 3**

სხვა მოიცავს შეძენილ მომსახურებას, წევრებთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სვა არასაოპერაციო ხარჯებს. მათი შემადგენლობა ასეთია:

დასახელება	2021 წ	2020 წ
გადახდილი საწევროები	16506	15278
ჩამოწერილი საწევროები	26999	65664
წევრთა ყრილობის ხარჯი	0	665
ჩამოწერილი ძირ.საშუალებების საბალანსო ღირებულება	73	1732
სტიპენდია	1750	2500
ქველმოქმედება და დახმარება	1930	1955
უიმედო ვალი	0	2350
არასაოპერაციო ხარჯი	46	9
წარმომადგენლობითი ხარჯი	1828	1736
საგადასახადო ხარჯი	1087	6863
საკურსო სხვაობის ხარჯი	0	612
შეძენილი მომსახურება	295088	278233
სულ სხვა ხარჯები:	345307	377597

5. ბალანსის ახსნა-განმარტებები**გრძელვადიანი აქტივები****1) ძირითადი საშუალებები****შენიშვნა 4**

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.21	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.20
	შეძენის ღირებულება				
1	ბიბლიოთეკა	622	0	0	622
2	ოფისის აღჭურვილობა	89203	2035	7491	94659
3	ავეჯი და ინვენტარი	77995	161	1596	79430
4	სატრანსპორტო საშუალება	105775	0	0	105775
	ჯამი	273595	2196	9087	280486

	ცვეთა	ნაშთი 31.12.21	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.20
1	ბიბლიოთეკა	0	0	0	0
2	ოფისის აღჭურვილობა	67939	6099	6613	68453
3	ავეჯი და ინვენტარი	66279	2781	1553	65051
4	სატრანსპორტო საშუალება	39378	10500	0	28875
	ჯამი	173593	19380	8166	162379
	საბალანსო ღირებულება	100002			118107

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

2) არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 5

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.21	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.20
	შეძენის ღირებულება				
1	საბუღალტრო პროგრამა „ორისი“	4361	0	0	4361
5	პროგრამა ICS (მართვის სისტემა)	2225	-	-	2225
6	ლიცენზია Strados Studio	5467	-	-	5467
	ჯამი	12053	0	0	12053
	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.21	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.20
1	საბუღალტრო პროგრამა „ორისი“	2427	333	0	2094
5	პროგრამა ICS (მართვის სისტემა)	1882	153	-	1729
6	ლიცენზია Strados Studio	3558	483	-	3075
	ჯამი	7867	969	0	6898
	საბალანსო ღირებულება	4186			5155

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

მიმდინარე აქტივები

შენიშვნა 6

მარაგი შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

1. მარაგი

დასახელება	თანხა	
	2021წ	2020წ
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	5540	8513
მზა პროდუქცია, წიგნები	94518	144980
სხვა მარაგი	19	233
სულ მარაგი:	100077	153726

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია ბაფში შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები და გასაყიდი საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. მზა პროდუქციის ნაშთში - ACCA სახელმძღვანელოები. სხვა მარაგში – მაკულატურისა და სანვავის ნაშთი.

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 7

დებიტორულ დავალიანებას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება	2021 წ	2020 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	43695	54053
მოთხოვნები წევრებთან	262172	233319
საექვო მოთხოვნების (საწევრო) კორექტირება	(30520)	(47354)
მოთხოვნები პერსონალთან	150	308
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	25254	29235
წინასწარ გადახდილი გადასახადები	14940	10161
სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები:	300751	279722

სავაჭრო დებიტორებში შეტანილი მოთხოვნა ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით

საწარმოს ქვე იჯარით გაცემული აქვს საოფისე ფართი, დარჩენილი 3 წლის ვადით. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. შემოსავლად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2021 წ.	2020 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება	10070	10070

შუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები პერიოდების მიხედვით შეადგენს:

	2020 წ.	2019წ.
არა უგვიანეს ერთი წლისა	10070	10070
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	20140	20210
ხუთი წლის შემდეგ	<u>0</u>	<u>0</u>
ჯამი	<u>30210</u>	<u>30210</u>

4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

შენიშვნა 8

ბაფის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, ქ. თბილისის და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში. მათი სტრუქტურა შემდეგია:

დასახელება	2021 წ	2020წ
ნაღდი ფული სალაროში	704	3089
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	213653	154559
უცხოური ვალუტა ბანკში	78211	92388
მოკლევადიანი ანაბრები ბანკში	<u>350000</u>	<u>420000</u>
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	642568	670036

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 9

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2021 წ	2020 წ
მოწ. და მომსახ.წარმოშობილი ვალდებულებები	11146	11398
მიღებული ავანსები	127985	79818
გადასახდელი ხელფასები	4400	36249
სხვა ვალდებულებები	<u>6609</u>	<u>4543</u>
	150140	141008

სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი, დარჩენილი 3 წლის ვადით. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2021 წ.	2020 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება	60000	60000
წლის ბოლოს საწარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები:		
არა უგვიანეს ერთი წლისა	75000	75000
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	225500	141250
ხუთი წლის შემდეგ	<u>0</u>	<u>0</u>
ჯამი	<u>300500</u>	<u>216250</u>

საწარმო უფლებამოსილია განაახლოს იჯარის ხელშეკრულება ვადის ამოწურვის შემდეგ.

საგადასახადო ვალდებულებები**შენიშვნა 10**

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

საგადასახადო ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2021 წ	2020 წ
გადასახდელი მოგების გადასახადი	58	0
გადასახდელი სოციალური გადასახადი	67	1043
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1968	9547
გადასახდელი დღგ	8421	613
	10514	11203

ბაფ-ის განვითარების ფონდი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის განვითარების ფონდი ფორმირებულია გასულ წლებში ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული მოგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს

ინვესტიციას შვილობილ კომპანიებში 312400 ლარი

შეძენილ გრძელვადიან აქტივებს 280500 ლარი

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგს/სახელმძღვანელო, ლიტერატურა/ 153700 ლარი

ბაფის წევრებზე დარიცხულ და ამოუღებელ სანევრო დავალიანებას 185965 ლარი
ფაქტიური რეზერვს /დეპოზიტზე განთავსებული თავისუფალი ტანხა/ 420000 ლარი.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

- შვილობილ საწარმოებს – შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა – ანგარიშგება“ და „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“;
- საბოლოო მაკონტროლებელი მხარე – ბაფი
- საწარმოები, რომლებზეც პირები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს – შპს „კონსაუდი“ და შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“

შვილობილი საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები

შვილობილი საწარმოდან საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში დივიდენდის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა: **2020 წელს 35700 ლარი.**

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის მთლიანმა კომპენსაციამ შეადგინა:

- 2021 წელს 98800 ლარი;
- 2020 წელს 84600 ლარი;
- ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2022 წლის 20 მაისს.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

*მთავარი ბუღალტერი
ქეთევან აბესალაშვილი*

*აღმასრულებელი დირექტორი
ლავრენტი ჭუმბურიძე*

ობლიგაციის შეფასება და ობლიგაციის შემოსავლიანობა

მოდული „ფინანსური მართვა“ (უმაღლესი დონე)

ობლიგაციები და მათი ნაირსახეობები, როგორცაა თამასუქი, სავალო ვალდებულება და სასესხო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც ერთი პირი აღიარებს, რომ მეორის ვალი აქვს. ამგვარ დოკუმენტებს, როგორც დაფინანსების საშუალებას, მთავრობა (სახელმწიფო) და კომპანიები უშვებს. ხშირად მათ უწოდებენ ფიქსირებული შემოსავლების მქონე ან ფიქსირებულპროცენტიან ფასიან ქაღალდებს, რათა განვასხვაოთ წილობრივი ფასიანი ქაღალდებისგან (ჩვეულებრივი აქციებისგან), რადგან აქციებისგან განსხვავებით, ისინი ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) ინვესტორებს უკუგებას აძლევენ რეგულარული ინტერვალებით. ობლიგაციებზე გადასახდელი პროცენტის თანხა, რომლის გადახდა ობლიგაციაზე მითითებული კუპონის მიხედვით ხდება, ფიქსირებულია, დივიდენდებისგან განსხვავებით, რომლებიც გადაიხდება ჩვეულებრივ აქციებზე და შეიძლება განსხვავებული სიდიდის იყოს. კორპორაციული ობლიგაციების უმეტესობა გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოსყიდვას ექვემდებარება. ამგვარად, „ჩვეულებრივი მარტივი“ ობლიგაცია ინვესტორებს რეგულარულ შემოსავალს მოუტანს პროცენტის გადახდის სახით და ობლიგაციის ძირი თანხა უკან დაუბრუნდება მათ გამოსყიდვისას, როდესაც ობლიგაციის ვადა ამოიწურება.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ, როგორ ხდება ობლიგაციების შეფასება და რა კავშირია ობლიგაციის ღირებულებას ანუ ფასს, ობლიგაციის ვადის გასვლისას (დაფარვისას) მის უკუგებასა (შემოსავლიანობას) და შემოსავლიანობის მრუდს შორის.

ობლიგაციის ღირებულება ანუ ფასი

1-ელი მაგალითი

რამდენი უნდა გადაიხადოს ინვესტორმა დღეს ისეთი ობლიგაციის საყიდლად, რომელიც გამოსყიდვას ექვემდებარება ოთხ წელიწადში, \$100-ის ნომინალური ღირებულებით და რომლისთვისაც გადაიხდება 5% წლიური კუპონის განაკვეთი ნომინალური ღირებულების მიხედვით? ამ ტიპის რისკების მქონე ობლიგაციისთვის მოთხოვნილი უკუგება (ანუ შემოსავლიანობა) 4%-ს შეადგენს.

როგორც ნებისმიერი აქტივის შეფასებისას, ინვესტორს, მაქსიმუმ, ენდომება მომავალი შემოსავლის ნაკადის მიმდინარე ღირებულების გადახდა, რომელიც დისკონტირებული იქნება მოთხოვნილი უკუგების (ანუ შემოსავლიანობის) განაკვეთით. ამგვარად, ობლიგაციის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

წელი	1-ელი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი	მე-4 წელი
ფულადი ნაკადები	\$5	\$5	\$5	\$105
მიმდინარე ღირებულება (4%)	$5 \times 1.04^{-1} = 4.81$	$5 \times 1.04^{-2} = 4.62$	$5 \times 1.04^{-3} = 4.44$	$105 \times 1.04^{-4} = 89.75$

ობლიგაციის ღირებულება/ფასი (ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებების ჯამი) = \$103.62.

შენიშვნა: მათემატიკურად, 1-ელი წლისთვის $5 / 1.04^1$ იგივეა, რაც 5×1.04^{-1} და ანალოგიურად იქნება ყველა წლისთვის.

თუ მოთხოვნილი უკუგების (ანუ შემოსავლიანობის) განაკვეთი 6% იქნებოდა, მაშინ ანალოგიური გამოთვლების შედეგად, ობლიგაციის ფასი იქნებოდა \$96.53, ხოლო როდესაც უკუგების მოთხოვნილი განაკვეთი კუპონის განაკვეთის 5%-ის ტოლია, ამ შემთხვევაში, ობლიგაციის მიმდინარე ფასი მისი ნომინალური ღირებულების, ანუ \$100-ის ტოლი იქნება.

ამგვარად, უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს ობლიგაციის შემოსავლიანობასა და მის ფასს, ანუ ღირებულებას შორის. რაც უფრო მაღალია მოთხოვნილი უკუგების (ანუ შემოსავლიანობის) განაკვეთი, მით უფრო ნაკლებია ობლიგაციის ფასი და პირიქით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს დამოკიდებულება არ არის წრფივი, არამედ კოორდინატთა სათავის მიმართ ჩაზნექილი მრუდის სახე აქვს.

ობლიგაციის ფასი



ჩვეულებრივი მარტივი ობლიგაცია (რომელიც ჩვენს მაგალითში განვიხილეთ), რომლისთვისაც წლიურ კუპონის განაკვეთს იხდიან, უმარტივესი ობლიგაციაა. ჩვეულებრივი მარტივი ობლიგაციის გარდა, უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის გამოცდაზე გამსვლელ კანდიდატებს გაცილებით უფრო რთული ობლიგაციების ცოდნა მოეთხოვებათ, როდესაც კუპონის განაკვეთის (პროცენტის) გადახდა ყოველწლიურად კი არა, უფრო ხშირად, წელიწადში რამდენჯერმე ხდება, როგორცაა: კონვერტირებადი ობლიგაციები და ობლიგაციები ვარანტებით, რომლებიც მოიცავს ოფციონის ნიშან-თვისებებს და გადახდის უფრო რთული სტრუქტურა აქვთ, მაგალითად, როდესაც ძირი თანხის გადახდა თანდათანობით, ეტაპობრივად ხდება, ან როდესაც ობლიგაციას ანუიტეტის ტიპის გადახდის სტრუქტურა აქვს.

ობლიგაციის უკუგება (ან შემოსავლიანობა) დაფარვისას

თუ ცნობილია ობლიგაციის მიმდინარე ფასი და ასევე ინფორმაცია კუპონისა და გამოსყიდვის თარიღის შესახებ, ამ ინფორმაციის გამოყენება შეგვიძლია ობლიგაციის მოთხოვნილი უკუგების, ანუ შემოსავლიანობის გამოსათვლელად ობლიგაციის დაფარვის მომენტისთვის.

მე-2 მაგალითი

ობლიგაცია, რომლისთვისაც გადაიხდება 7% კუპონი, გამოსყიდვას ექვემდებარება ხუთ წელიწადში ნომინალური ღირებულებით (\$100) და ამჟამად ის იყიდება \$106.62-ად. განსაზღვრეთ მისი შემოსავლიანობა (ანუ უკუგების მოთხოვნილი განაკვეთი).

$$\$106.62 = \$7 \times (1+r)^{-1} + \$7 \times (1+r)^{-2} + \dots + \$107 \times (1+r)^{-5}$$

r -ის გასაგებად შეგვიძლია გამოვიყენოთ შიდა უკუგების განაკვეთის მიდგომა. ვინაიდან ობლიგაციის ამჟამინდელი ფასი მეტია \$100-ზე, r 5%-ზე ნაკლები უნდა იყოს.

თავდაპირველად r -ის ნაცვლად ავიღოთ 5%.

$$\$7 \times 4.3295 [5\%, \text{ ხუთწლიანი ანუიტეტი}] + \$100 \times 0.7835 [\text{მიმდინარე ღირებულება } 5\%, \text{ ხუთი წელი}] = \$30.31 + \$78.35 = \$108.66;$$

ახლა r -ის ნაცვლად ავიღოთ 6%:

$$\$7 \times 4.2124 [6\%, \text{ ხუთწლიანი ანუიტეტი}] + \$100 \times 0.7473 [\text{მიმდინარე ღირებულება } 6\%, \text{ ხუთი წელი}] = \$29.49 + \$74.73 = \$104.22;$$

$$\text{შემოსავლიანობა} = 5\% + \frac{108.66 - 106.62}{108.66 - 104.22} \times 1\% = 5.46\%;$$

5.46% არის ობლიგაციის შემოსავლიანობა დაფარვისას (ანუ გამოსყიდვისას);

შემოსავლიანობა დაფარვისას არის უკუგების ის განაკვეთი (დონე), რომლის დროსაც ყველა მომავალი შემოსავლის ნაკადის მიმდინარე ღირებულებების ჯამი ობლიგაციის მიმდინარე ფასის ტოლია. ეს არის უკუგების საშუალო განაკვეთი (დონე), რომლის მიღებასაც ინვესტორები მოელიან ობლიგაციიდან მის გამოსყიდვამდე. ობლიგაციების შემოსავლიანობა გამოსყიდვისას, ჩვეულებრივ, კოტირებულია ობლიგაციის საბოლოო ფასის მიხედვით და ცხადდება ფინანსურ პრესაში. მაგალითად, ფინანსურ პრესაში გამოცხადებული კოტირებული შემოსავლიანობა ხშირად არის შეთავაზების შემოსავლიანობა. შეთავაზების შემოსავლიანობა არის ობლიგაციის შემოსავლიანობა დაფარვისას, ობლიგაციის მიმდინარე შეთავაზების ფასის (ანუ ფასის, რომლითაც შესაძლებელია ობლიგაციის ყიდვა) მიხედვით.

საპროცენტო განაკვეთების გადახდის ვადის სტრუქტურა და შემოსავლიანობის მრუდი

ობლიგაციის შემოსავლიანობა დაფარვისას გამოითვლება მიმდინარე საბაზრო ფასზე, ობლიგაციის დაფარვის ვადასა და გადასახდელი კუპონის სიდიდეზე (და მისი გადახდის სიხშირეზე) დაყრდნობით. თუმცა, თუ კორპორაციული ობლიგაციის გამოშვება პირველად ხდება, მისი ფასი ან/და გადასახდელი კუპონის პროცენტის სიდიდე მოთხოვნილი შემოსავლიანობის (უკუგების) მიხედვით უნდა განისაზღვროს. მოთხოვნილი შემოსავლიანობა ეფუძნება საპროცენტო განაკვეთების გადახდის ვადის სტრუქტურას და მისი განხილვა მანამდე უნდა მოხდეს, სანამ დაადგენენ, რა ფასი უნდა ჰქონდეს ობლიგაციას.

სწორი ნამდვილად არ იქნება ვიგულისხმობთ, რომ ერთი და იმავე ტიპის რისკების მქონე ობლიგაციებს, რომლებსაც გამოსყიდვის სხვადასხვა თარიღები აქვს, იდენტური ექნებათ მოთხოვნილი უკუგების განაკვეთი, ანუ შემოსავლიანობა. ფაქტობრივად, აშკარაა, რომ ბაზრები განსხვავებულ წლიურ უკუგებას ან შემოსავლი-ანობას ითხოვენ ობლიგაციებზე, რომლებსაც დაფარვის, ანუ გამოსყიდვის სხვადასხვა ვადა აქვთ, მაშინაც კი, თუ ობლიგაციები ერთი და იმავე რისკის კატეგორიას მიეკუთვნება. ამას უწოდებენ საპროცენტო განაკვეთების გადახდის ვადის სტრუქტურას და სპოტ შემოსავლიანობის მრუდით, ანუ მარტივი შემოსავლიანობის მრუდით გამოისახება.

მაგალითად, კომპანიამ შეიძლება ასე დაადგინოს: თუ მას ერთწლიანი ობლიგაციის გამოშვება სურს, შეიძლება წლიური 3%-ის პროცენტის გადახდა დასჭირდეს ამ ერთ წელს; თუ ორწლიანი ობლიგაციის გამოშვება სურს, ბაზარმა შეიძლება მოითხოვოს 3.5% წლიური საპროცენტო განაკვეთი, ხოლო სამწლიანი ობლიგაციისთვის, შეიძლება მოითხოვებოდეს წლიური შემოსავლიანობა 4.2%. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში, კომპანიას დასჭირდება ერთ წელიწადში 3% პროცენტის გადახდა; 3.5%-ის გადახდა ორი წლის მანძილზე თითოეულ წელს, თუ ორი წლით სურს სახსრების სესხება და 4.2%-ის გადახდა თითოეულ წელს სამი წლის მანძილზე, თუ სამი წლით ისესხებს ფულს. ამ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთების ვადის სტრუქტურა გრაფიკულად გამოისახება აღმავალი მრუდით.

აღმავალი მრუდის ხასიათიდან გამომდინარე, ნორმალური იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ უფრო ხანგრძლივი დაფარვის ვადის მქონე ობლიგაციას რისკის კომპენსაციისთვის უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი დასჭირდება. აქ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ განსახილველ ობლიგაციებს შეიძლება ერთი და იმავე ტიპის რისკები ახასიათებდეს, მაგრამ რაც უფრო ხანგრძლივია ობლიგაციის ვადა, მით უფრო გაიზრდება განუსაზღვრელობა.

თუმცა, სავსებით ნორმალურია, რომ არსებობს მრავალი განსხვავებული ფორმის შემოსავლიანობის მრუდი, იმისდა მიხედვით, რა შეხედულება აქვს ბაზრებს იმის შესახებ, როგორ შეიძლება შეიცვალოს საპროცენტო განაკვეთები მომავალში. საპროცენტო განაკვეთების გადახდის ვადების (დროითი) სტრუქტურის, ანუ შემოსავლიანობის მრუდის ასახსნელად ძირითადად სამი თეორია აღმოცენდა: მოლოდინების ჰიპოთეზის თეორია, ლიკვიდობის უპირატესობის ჰიპოთეზის თეორია და ბაზრის სეგმენტაციის ჰიპოთეზის თეორია. მართალია, ამ თეორიების ახსნა ამ სტატიის მიზანს სცილდება, მაგრამ ეს საკითხები დეტალურად არის გარჩეული ინვესტიციებისა და ფინანსური მართვის ბევრ სახელმძღვანელოში.

ობლიგაციების შეფასება შემოსავლიანობის მრუდის საფუძველზე

წლიური სპოტ შემოსავლიანობის მრუდები ხშირად ქვეყნდება ფინანსურ პრესაში, ან ცენტრალური ბანკების მიერ (მაგალითად, ინგლისის ბანკი თავის ვებგვერდზე რეგულარულად აქვეყნებს გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო ობლიგაციის შემოსავლიანობის მრუდებს). სპოტ შემოსავლიანობის მრუდის გამოყენება შესაძლებელია ობლიგაციის ფასის, ან ღირებულების შესაფასებლად.

მე-3 მაგალითი

კომპანიას სურს ობლიგაციის გამოშვება, რომელიც გამოსყიდვას დაექვემდებარება ოთხ წელიწადში ნომინალური ღირებულებით (\$100) და ამავე დროს სურს, გადაიხადოს წლიური კუპონი 5% ნომინალური ღირებულების მიხედვით. განსაზღვრეთ ფასი, რომლითაც უნდა გამოუშვან ობლიგაცია.

წლიური სპოტ შემოსავლიანობის მრუდი ამ ტიპის რისკის მქონე ობლიგაციისთვის არის შემდეგი:

- ერთწლიანი 3.5%
- ორწლიანი 4.0%
- სამწლიანი 4.7%
- ოთხწლიანი 5.5%

ოთხწლიანი ობლიგაციიდან გადაიხდება/მიიღება შემოსავლის შემდეგი ნაკადები:

წელი	1	2	3	4
გადახდა	\$5	\$5	\$5	\$105

ამ ობლიგაციის გამართილება შესაძლებელია ოთხ განცალკევებულ ობლიგაციად დაყოფით, რომლებსაც ექნებათ გადახდის შემდეგი სტრუქტურა:

წელი	1	2	3	4
1-ელი ობლიგაცია	\$5			
მე-2 ობლიგაცია		\$5		
მე-3 ობლიგაცია			\$5	
მე-4 ობლიგაცია				\$105

როგორც ვხედავთ, თითოეულ წელს თითოეული წლიური გადახდა ერთადერთი გადახდაა, რომელიც ძალიან ჰგავს ნულოვანი კუპონის მქონე ობლიგაციას და მისი მიმდინარე ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია თითოეული ფულადი ნაკადის დისკონტირებით, შემოსავლიანობის მრუდის შესაბამისი განაკვეთით:

- 1-ელი ობლიგაცია $\$5 \times 1.035^{-1} = \4.83
- მე-2 ობლიგაცია $\$5 \times 1.04^{-2} = \4.62
- მე-3 ობლიგაცია $\$5 \times 1.047^{-3} = \4.36
- მე-4 ობლიგაცია $\$105 \times 1.055^{-4} = \84.76

ამ ფულადი ნაკადების ჯამი არის ფასი, რომლითაც შეიძლება ობლიგაციის გამოშვება, ანუ \$98.57.

თუ იმავე მეთოდის მიხედვით, რომელიც მე-2 მაგალითში გამოვიყენეთ, ობლიგაციის შემოსავლიანობა დაფარვის თარიღისთვის იქნება 5.41%.

ამ გამოთვლებიდან შეგვიძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანოთ: პირველი, 5.41% ნაკლებია 5.5% -ზე, რადგან ობლიგაციიდან უკუგების გარკვეული თანხები წარმოიქმნება წინა წლებში, როდესაც შემოსავლიანობის მრუდზე საპროცენტო განაკვეთები ნაკლებია, მაგრამ უკუგების უდიდესი ნაწილი მოდის მე-4 წელზე; მეორე, ობლიგაციის შემოსავლიანობა დაფარვისას არის საპროცენტო განაკვეთების გადახდის (დროითი) სტრუქტურის საშუალო; მესამე, შემოსავლიანობა დაფარვისას გამოითვლება მას შემდეგ, როდესაც უკვე გამოთვლილია ობლიგაციის ფასი, ან ობლიგაციის ფასის შესახებ მონაცემები მოპოვებულია ბაზარზე დაკვირვებით, მაგრამ თეორიულად, ობლიგაციის ფასს ან ღირებულებას განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთების გადახდის სტრუქტურა.

მათემატიკურად:

ობლიგაციის ფასი = კუპონი $x(1+r_1)^{-1} +$ კუპონი $x(1+r_2)^{-2} + \dots +$ კუპონი $x(1+r_n)^{-n} +$ გამოსყიდვის ღირებულება $x(1+r_n)^{-n}$,

სადაც r_1 , r_2 და ა.შ. არის სპოტ საპროცენტო განაკვეთები შემოსავლიანობის მრუდის მიხედვით, ხოლო n არის დროის პერიოდების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ხდება კუპონის თანხის გადახდა და ბოლო კომპონენტი არის ობლიგაციის ღირებულება, როდესაც მისი გამოსყიდვა ხდება.

ამ სტატიაში, ვგულისხმობთ, რომ კუპონების გადახდა ყოველწლიურად ხდება, მაგრამ, სინამდვილეში, გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, კუპონების გადახდა უფრო ხშირად ხორციელდება (წელიწადში რამდენჯერმე). ასეთ შემთხვევაში, უნდა შემცირდეს გადასახდელი კუპონების თანხები და გაიზარდოს გადახდის დროის პერიოდების სიხშირე.

შემოსავლიანობის მრუდის შეფასება

სპოტ შემოსავლიანობის მრუდის შესაფასებლად რამდენიმე მეთოდი გამოიყენება და, სავარაუდოდ, ეს იტერაციული პროცესი გაცილებით უფრო ადვილი გასაგებია, როდესაც ობლიგაციების შემოსავლიანობის ყოველი მომდევნო ნაკადის სიდიდე წინა მონაცემზე დაყრდნობით გამოითვლება. შემდეგი მაგალითიდან ჩვენ დავინახავთ, როგორ ტარდება ამგვარი გაანგარიშებები პრაქტიკაში.

მე-4 მაგალითი

მთავრობას გამოშვებული აქვს სამი ობლიგაცია, ყველა მათგანის ნომინალური ღირებულება შეადგენს \$100-ს და გამოსყიდვას ექვემდებარება ერთ, ორ და სამ წელიწადში, შესაბამისად. ვინაიდან ეს ობლიგაციები ყველა სახელმწიფო ობლიგაციებია, დავუშვათ, რომ ისინი მიეკუთვნება რისკის ერთსა და იმავე კატეგორიას. ასევე ვიგულისხმობთ, რომ კუპონები გადასახდელია წელიწადში ერთხელ. „ა“ ობლიგაციის კუპონის განაკვეთი, რომელიც ერთ წელიწადშია გამოსასყიდი, შეადგენს 7%-ს და იყიდება \$103-ად; „ბ“ ობლიგაციის კუპონის განაკვეთი, რომელიც ორ წელიწადშია გამოსასყიდი, შეადგენს 6%-ს და იყიდება \$102-ად; „გ“ ობლიგაციის კუპონის განაკვეთი, რომელიც სამ წელიწადშია გამოსასყიდი, შეადგენს 5%-ს და იყიდება \$98-ად.

შემოსავლიანობის მრუდის გრაფიკის ასაგებად თითოეული ობლიგაციის ფულადი ნაკადები დისკონტირდება თანამომდევრულად, რათა განისაზღვროს სამი წლისთვის წლიური სპოტ განაკვეთები:

ობლიგაცია „ა“: $\$103 = \$107 \times (1+r_1)^{-1}$
 $r_1 = 107/103 - 1 = 0.0388$ ანუ 3.88%;

ობლიგაცია „ბ“: $\$102 = \$6 \times 1.0388^{-1} + 106 \times (1+r_2)^{-2}$;
 $r_2 = [106 / (102 - 5.78)]^{1/2} - 1 = 0.0496$ ანუ 4.96%;

ობლიგაცია „გ“: $\$98 = \$5 \times 1.0388^{-1} + \$5 \times 1.0496^{-2} + 105 \times (1+r_3)^{-3}$;
 $r_3 = [105 / (98 - 4.81 - 4.54)]^{1/3} - 1 = 0.0580$ ანუ 5.80%.

ამგვარად, წლიური სპოტ შემოსავლიანობის მრუდი იქნება:

წელი

- 1 3.88%
- 2 4.96%
- 3 5.80%

ამ სტატიაში ჩვენ არ განვიხილავთ სპოტ შემოსავლიანობის მრუდის შეფასების სხვა მეთოდებს, როგორცაა მაგალითად, მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზი და ნულოვანი კუპონის მქონე ობლიგაციების სპოტ განაკვეთებზე დაკვირვება, რადგან ეს საკითხები არ შედის უმაღლესი დონის ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად ფინანსური პრესა და ცენტრალური ბანკები აქვეყნებენ სპოტ შემოსავლიანობის მრუდების შეფასებებს, გამოშვებულ სახელმწიფო ობლიგაციებზე დაყრდნობით. ცალკეული კორპორაციული ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდები შეიძლება შეფასდეს ამ მონაცემების საფუძველზე, კერძოდ, ამ ობლიგაციებზე შესაფერისი სპრედების დამატებით. მაგალითად, სპრედების (საბაზისო პუნქტებში) შემდეგი ცხრილი შედგენილია საცალო ვაჭრობის სექტორისთვის.

რეიტინგი	1-ელი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი
AAA	14	25	38
AA	29	41	55
A	46	60	76

მე-5 მაგალითი

საცალო ვაჭრობის კომპანია „მეისონს“ აქვს საკრედიტო რეიტინგი AA, მისი პერსონალური შემოსავლიანობის მრუდი სახელმწიფო ობლიგაციის შემოსავლიანობის მრუდისა და ზემოთ მოცემული სპრედების ცხრილის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს შემდეგნაირად:

1-ელი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი
4.17%	5.37%	6.35%

ეს არის უკუგების ის განაკვეთები (დონეები), რომლის მიღებასაც მოელის ინვესტორი, რომელიც იყიდის „მეისონის“ ობლიგაციებს. მაშასადამე, „მეისონმა“ ეს განაკვეთები უნდა გამოიყენოს დისკონტირების განაკვეთებად, რათა შეაფასოს კუპონების ფასი ან ღირებულება, როდესაც გამოუშვებს ახალ ობლიგაციებს. და მაშინ, „მეისონის“ არსებული ობლიგაციების საბაზრო ფასი მის პერსონალურ შემოსავლიანობის მრუდს ასახავს.

დასკვნა

ამ სტატიაში განვიხილეთ ობლიგაციების ფასს, შემოსავლიანობის მრუდსა და დაფარვის მომენტის შესაფერის შემოსავლიანობას შორის ურთიერთკავშირი. ჩვენ ვნახეთ, როგორ შეიძლება შევადგინოთ ობლიგაციები და როგორ უნდა განვსაზღვროთ შემოსავლიანობის მრუდი ერთი და იმავე ტიპის რისკის მქონე ობლიგაციებისთვის, რომლებსაც დაფარვის განსხვავებული ვადები აქვთ. დასასრულს, ასევე ვნახეთ, როგორ შეიძლება შეფასდეს ცალკეული კომპანიის შემოსავლიანობის მრუდი.

ვიმედოვნებთ, რომ ეს სტატია კანდიდატებს დაეხმარება ობლიგაციებსა და ობლიგაციების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გაგებასა და, მაშასადამე, ამ თემაზე მომზადებულ საგამოცდო კითხვებზე კვალიფიციური პასუხის გაცემაში.

თავდაპირველი სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა უმაღლესი დონის „ფინანსური მართვის“ მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა

გამოცდის ჩაბარების ტექნიკა

რამდენიმე რჩევა იმის შესახებ, რა არ უნდა გააკეთოს კანდიდატმა გამოცდაში

მოდული „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“

ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ გამოცდის ჩაბარების არადაამაკმაყოფილებელ ტექნიკაზე/მიდგომაზე, რასაც საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდებზე კანდიდატები ხშირად იყენებენ პასუხების მომზადებისას. ეს საკითხები ახალი არ არის. გამომცდელი ყოველი სესიის დროს ამ პრობლემებზე მიუთითებს კანდიდატებს თავის კომენტარებში, მაგრამ რატომღაც კანდიდატები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

პრობლემები უკავშირდება კანდიდატების გადაჭარბებულ „ენტუზიაზმს“. სწორედ იმიტომ დავწერე ეს სტატია, რომ მსურს კანდიდატებმა კარგად გაიცნობიერონ ჩვენი რჩევები და ცოტათი უფრო მეტად გააკონტროლონ თავი საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვებზე პასუხების გაცემისას.

მთავარი პრობლემა, რომელსაც ამ სტატიაში განვიხილავ, ეხება ზოგიერთ კანდიდატს, რომლებიც „ბ“ განყოფილების თხრობითი (აღწერილობითი) ხასიათის კითხვებზე პასუხების გაცემისას უაზროდ მსჯელობენ კითხვისთვის სრულიად შეუსაბამო საკითხებზე. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს, როდესაც კითხვა ეხება რომელიმე კონკრეტულ დარგს, ან როდესაც კითხვა შერეულია. ამ პრობლემის საილუსტრაციოდ გამოვიყენე წინა წლების საგამოცდო მასალიდან მე-2 კითხვის (გ) ნაწილი. ეს კითხვა ეხებოდა საწარმოს, სახელწოდებით „ქეითი“, რომელიც საქმიანობას ეწეოდა პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელ დარგში.

საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ ორნაირ პასუხს. ორივე ჩემი მომზადებულია, მაგრამ ძალიან ჰგავს კანდიდატების მიერ რეალურად მომზადებულ პასუხებს: ერთ პასუხში ნაჩვენებია პასუხის მომზადების კარგი მიდგომა, მეორეში – არადაამაკმაყოფილებელი.

კითხვა შემდგენიარად იყო ჩამოყალიბებული:

20X8 წლის 1 აპრილს „ქეითი“ იყო „დეითის“ პირდაპირი წილის მფლობელი, რომელიც მას „დეითში“ 70% ხმის უფლებას ანიჭებდა. 20X9 წლის მაისში „დეითმა“ გამოუშვა ახალი აქციები, რომლებზეც მთლიანად ხელი მოაწერა ერთ-ერთმა ახალმა ინვესტორმა. კაპიტალის გაზრდის შემდეგ, „ქეითს“ თავის ყოფილ შვილობილ საწარმოში დარჩა ხმის უფლებების 35%. მეორე მხრივ, იმავდროულად „დეითის“ აქციონერებმა ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას, რომელიც ეხებოდა „დეითის“ მართვის ახალ წესებს.

ახალი შეთანხმების თანახმად „ქეითი“ უკვე აღარ იქნებოდა წარმოდგენილი „დეითის“ დირექტორთა საბჭოში, არც მის მართვაში მიიღებდა მონაწილეობას. ამის შემდეგ, „ქეითმა“ განიხილა და მიიჩნია, რომ მისი გადაწყვეტილება, არ მოეწერა ხელი აქციების ახალ ემისიაზე ტოლფასი იყო „დეითში“ ფლობილი ინვესტიციების შემცირების გადაწყვეტილების. „ქეითი“ მსჯელობდა, რომ რადგან „დეითში“ ახალი ინვესტიცია არ ჩადო, ეს იმას ნიშნავდა, რომ არ სურს „დეითში“ ფლობილი ინვესტიციის ღირებულების ამოღება ძირითადად აქტივის გამოყენების გაგრძელებით და ეს მიიჩნეოდა ინვესტიციის გაყიდვად. იმის გამო, რომ „დეითი“ არის განცალკევებული საქმიანობა

(თავისი განცალკევებული ფულადი ნაკადებით, ხელმძღვანელობითა და მომხმარებლებით), „ქეითმა“ მიიჩნია, რომ 20X9 წლის 31 მაისამდე პერიოდის „დეითის“ შედეგები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფასს 5-ის – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – პრინციპების შესაბამისად.

მოგეთხოვებათ:

მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით კომპანიის მიერ შემოთავაზებული სააღრიცხვო მიდგომა 20X9 წლის 31 მაისს დასრულებული წლისთვის.

(8 ქულა)

არადამაკმაყოფილებელი პასუხი

ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ადგენს კრიტერიუმებს გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივებისთვის. პირველი, აქტივი გამიზნული უნდა იყოს გასაყიდად, მისი ღირებულების ამოღება შეუძლებელი უნდა იყოს მისი გამოყენების გაგრძელების შედეგად, მეორე, აქტივი ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაყიდად – ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიას აქვს გასაყიდად გამიზნული აქტივი. დირექტორმა უნდა განიხილოს გარემოებები და ნახოს, არის თუ არა აქტივი გასაყიდად ხელმისაწვდომი. შემდეგ უნდა განიხილოს, აქტივი შვილობილი საწარმოა თუ არა. დირექტორები იხილავენ აქტივის გაყიდვას. ასე, რომ ეს აქტივი მოკლევადიანი აქტივია. სააქციო კაპიტალის გამოშვება ასუსტებს კონტროლს; შეიძლება „ქეითმა“ გაუფასურება უნდა ასახოს. გაუფასურებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. საკუთრების შემცირება გაუფასურებას ნიშნავს. გაყიდვიდან ფულადი ნაკადები არ მიიღება.

არადამაკმაყოფილებელი პასუხი – ჩემი კომენტარები

გიჭირთ ამგვარი ტექსტის წაკითხვა? წარმოიდგინეთ, რა საშინელი წასაკითხი იქნებოდა გაურკვეველი ხელნაწერით დაწერილი იგივე ტექსტი. სანამ ამ პასუხს ნაწილებად დავეყოფთ განსახილველად, ჯერ შევაფასოთ ის, რაც დადებითია ამ პასუხში:

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ კანდიდატი ბოლომდე ცდილობდა პასუხის გაცემას. ამ ნაწერზე, კანდიდატი, სავარაუდოდ, რვა ქულიდან ორ ქულას მიიღებდა. ორი ქულა უკეთესია, ვიდრე არაფერი (ნული). მეორე, პასუხში ნახსენებია რამდენიმე მთავარი საკითხი. აქ ნახსენებია „კონტროლი“ და „კრიტერიუმები“. ეს ორივე ტერმინი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სცენარში და ამით შეიძლება ორი ქულის მოპოვება. მე ვიცი, რომ ტექსტი გამართული ენით არ არის დაწერილი, განსაკუთრებით ბოგერითი წინადადება, მაგრამ კანდიდატებს ვურჩევ, ამაზე არ ინაღვლონ, რადგან გამოცდის ფაქტორით შექმნილი დაძაბულობის გამო, შესაძლებელია წინადადებები ცოტათი დამახინჯებული იყოს.

ახლა დავუბრუნდეთ ნაკლოვანებებს – პასუხი უკიდურესად ქაოსურად არის დაწერილი. არ დაგეუფლათ ისეთი შეგრძნება, თითქოს კანდიდატმა ნახევარი სცენარი წაიკითხა და შემდეგ გაოფლიანებულმა და შეშინებულმა აქ მოყარა ყველანაირი ძველი ნაგავი? ალბათ ხვდებით, რომ კანდიდატმა „რალაც-რალაცები“ იცის, მაგრამ არანორმალურმა პანიკამ განაპირობა ამგვარი ქაოსი მის პასუხში. სწორედ ასე აღვიქვამ მე ამას. ვურჩევ კანდიდატებს, ჩაისუნთქონ, დამშვიდდნენ და მოადუნონ მხრები. ახლა კი განვიხილოთ სამი სპეციფიკური პრობლემა.

პრობლემა 1. ფასს ტანდარტების ნომრები

ფასს 9-ის ხსენება პასუხის დასაწყისში კარგი დასაწყისი არ არის. რასაკვირველია, ფასს 9 ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგრამ გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს ფასს 5 – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ არეგულირებს. ჩვენთვის ეს ცნობილია, რადგან ამის შესახებ სცენარშია აღნიშნული. ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ კანდიდატმა სცენარი ბოლომდე არ წაიკითხა. გირჩევთ, როდესაც პასუხობთ თხრობითი, აღწერილობითი ხასიათით კითხვას, მთელი ყურადღება გადაიტანეთ პასუხის შინაარსზე და ნუ დაამახინჯებთ პასუხს ფასს სტანდარტების არასწორი ნომრებით. თუ თქვენ მოგწონთ ფასს სტანდარტების ნომრების ხსენება და შეგიძლიათ მათი დამახსოვრება, მაშინ სწორად დაასახელეთ ნომრები. თუ არ იცით რომელიმე ფასს სტანდარტის ნომერი, თავს ძალას ნუ დაატანთ მათი გახსენებით. დაუჯერებელია, იმდენი კანდიდატი ვერ ასახელებს სწორად ფასს სტანდარტების ნომრებს, განსაკუთრებით, ერევათ ბასს 36, 37, 38 და 39. სამწუხაროდ, ეს საშინლად გააფუჭებს ისეთ პასუხს, რომელიც ფასს სტანდარტის არასწორი ნომრის გარეშე სრულიად ადეკვატური იქნებოდა. თუმცა, ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ კანდიდატებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ფასს სტანდარტების ნომრებზე, ხშირად მთავარი ავიწყდებათ: სინამდვილეში რას ეკითხებიან და რას უნდა უპასუხოთ.

მე-2 პრობლემა: ბედმეტი „ლაკონურობა“

ჩვენ მიერ ბედმით განხილული პასუხი წარმოუდგენლად მოკლეა. მთელი პასუხი უკიდურესად შემჭიდროებულია ჩამოყალიბებულ ერთ აბზაცშია მოქცეული და ძალიან ძნელი იქნებოდა მისი შეფასება. კითხვა ფასდება რვა ქულით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოგეთხოვებათ რვა შესაფერისი მოსაზრების მოფიქრება და წარმოდგენა. აუცილებელი არ არის, რომ ეს მოსაზრებები ემთხვეოდეს გამომცდელის მოსაზრებებს. მაგრამ პასუხში რვა მოსაზრება (საკითხი, პუნქტი) უნდა იყოს მოცემული. ამასთან, ერთაბზაციანი პასუხის ბედმეტი ლაკონურობის გამო ძალიან ძნელია შემფასებლისთვის ამ კანდიდატის მოსაზრებების დადგენა.

უმორჩილესად გთხოვთ, თითო პუნქტში თითო მოსაზრება ჩამოაყალიბოთ და გირჩევთ, თითოეულ პუნქტს თავისი სათაური გაუკეთოთ. როგორც ნახავთ, (იხ. ქვემოთ, კარგი კანდიდატის პასუხი) კარგი კანდიდატი სწორედ ასეთი სტილით აყალიბებს პასუხს და მიხვდებით, რომ თითოეული მოკლე პუნქტისთვის თავისი სათაურის მიცემით პასუხი ადვილად წასაკითხი (და გასაგები) ხდება.

მე-3 პრობლემა: ტექნიკური მხარე

პასუხიდან ჩანს ანალიზის ტექნიკის ჩანაცვლების მცდელობა. ფასს სტანდარტის ნომრის მითითებაც პასუხის ტექნიკური მხარეა, მაგრამ მცდარი. გაუფასურებაზე მითითებაც ასევე ტექნიკური მხარეა, მაგრამ არარელევანტური ამ კითხვისთვის/სცენარისთვის. როგორც ჩანს, კანდიდატი გაურბის ფიქრს და მის ჩანაცვლებას ცდილობს შემთხვევითი ტექნიკური ინფორმაციის „ჩაყრით“. მე ჩემი მხრიდან მსურს ვუთხრა ამ კანდიდატს, რომ ჩაისუნთქოს, დამშვიდდეს და ხელახლა წაიკითხოს სცენარი; ასევე ვურჩევ, იფიქროს და იაზროვნოს.

ამ დონის გამოცდაზე თქვენ თავს ვერ აარიდებთ ანალიზს. საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის ჩასაბარებლად არ გჭირდებათ სასწაულებრივი ცოდნა. ცხადია, თეორიული ცოდნა გეხმარებათ, მაგრამ აუცილებელი არ არის. თქვენთვის აუცილებელია ანალიზი. თქვენ თავს ვერ აარიდებთ ანალიზს. როდესაც ხელმეორედ გადახედავთ სცენარს და ცოტას იფიქრებთ, თავს უფლებას მისცემთ, რომ დამშვიდდეთ, თვითონ გაცოდებით, როგორ დაიხატება სურათი. სინამდვილეში ეს სრულებითაც არ არის ძნელი. სცენარში გვეუბნებიან, რომ ჩვენ გვეკუთვნოდა კომპანიის 70% და ახლა გვეკუთვნის იმავე კომპანიის 35% და დირექტორები დარწმუნებულები არ არიან, რომ დარჩენილი 35% არის გასაყიდად გამიზნული. სინამდვილეში ასეც არის.

70%-მა წილმა უნდა გაგახსენოთ ტერმინები „კონტროლი“ და „შვილობილი საწარმო“, ხოლო 35%-მა წილმა – „მნიშვნელოვანი გავლენა“ და „მეკავშირე საწარმო“. ამის შემდეგ უკვე შეგიძლიათ განიხილოთ გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების კრიტერიუმები – გასაოცარია, რა ცოტა ფიქრი ყოფილა საჭირო. კარგი კანდიდატი (იხ. ქვემოთ) სწორედ ამ მიმართულებით წავიდა და ვფიქრობ მიხვდებით, რომ მისი პასუხი უფრო დამაჯერებელია და არც გადაჭარბებულად ტექნიკური (ოფიციალური) არ არის.

კარგი კანდიდატის პასუხი

კონტროლი

ფასს სტანდარტებში ძალიან ნათლად არის მითითებული, რომ შვილობილი საწარმო განიმარტება კონტროლის მიხედვით. შვილობილი საწარმოს შეძენას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოვიპოვებთ კონტროლს, ხოლო შვილობილი საწარმოს გასვლას (გაყიდვას) მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ვკარგავთ მასზე კონტროლს (ფასს 10).

გასვლა (გაყიდვა)

ამგვარად, როდესაც „ქეითი“ „დეითს“ ეუბნება, რომ აქციები გამოუშვას ახალი ინვესტორისთვის და „ქეითის“ საკუთრება და ხმის უფლებები 70%-დან 35%-მდე ეცემა, ამით „ქეითი“ კარგავს კონტროლს და ამის შედეგი არის შვილობილი საწარმოს გასვლა (გაყიდვა).

შენწყვეტილი ოპერაციები

სცენარში გვეუბნებიან, რომ „დეითი“ არის განცალკევებული საქმიანობა (ბიზნესი). ცხადია, წლის ბოლოსათვის ჩვენ შევწყვეტეთ Y აღნიშნული საქმიანობა. მაშასადამე, ეს არის შეწყვეტილი ოპერაცია (ფასს 5).

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

„ქეითი“ დროის პროპორციულად ანაწილებს „დეითის“ შედეგებს და შემდეგ მოგება დაბგვრის შემდეგ შეაქვს მუხლში „შენწყვეტილი ოპერაციები“, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების ქვედა ნაწილში და განმარტებით შენიშვნებში ამჟღავნებს შესაბამის დეტალებს.

გაყიდვასთან დაკავშირებული მოგება

ფასს სტანდარტებში ასევე ნათლად არის აღნიშნული, რომ როდესაც ჩვენ კონტროლს ვკარგავთ, ვგულისხმობთ, რომ მთლიანად გაიყიდა შვილობილი საწარმო და სხვა ინვესტიცია შევიძინეთ (ფასს 3).

შედეგად მივიღებთ:

ფაქტობრივი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	X
ნაგულისხმევი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	X
არამაკონტროლებელი წილი	X
წმინდა აქტივები	(X)
გუდვილი	<u>(X)</u>
მოგება	<u>X</u>

დარჩენილი ინვესტიცია

სცენარში გვეუბნებიან, რომ „ქეითმა“ დაკარგა თავისი ადგილი საბჭოში. მაშასადამე, შესაძლებელია, რომ „ქეითს“ წილის დათმობის შემდეგ არ დარჩა გავლენის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ დარჩენილი წილი 35%-ს შეადგენს. თუ ეს ასეა, მაშინ დარჩენილი აქტივი არის ჩვეულებრივი ინვესტიცია, სამართლიანი ღირებულებით, რომლის შემოსულობა აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მეკავშირე საწარმო

მეორე მხრივ, მე ვფიქრობ, რომ შეიძლება „ქეითი“ ისევ ინარჩუნებს „დეითზე“ გავლენის ძალაუფლებას, მაგრამ არ სურს „დეითის“ საქმიანობაში ჩარევა. თუ ეს ასეა, მაშინ აქციების ემისიის შემდეგ „დეითი“ არის მეკავშირე საწარმო.

გასაყიდად გამიზნული

მეკავშირე საწარმო მიიჩნევა გასაყიდად გამიზნულად, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) უნდა არსებობდეს გაყიდვის განზრახვა;
- ბ) შესაძლებელი უნდა იყოს მეკავშირე საწარმოს დაუყოვნებლივ გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში და მისი გაყიდვა მოსალოდნელი უნდა იყოს დიდი ალბათობით (უნდა არსებობდეს მყიდველის მოძებნისა და გაყიდვის გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა);
- გ) დირექტორები მყიდველის მოსაძებნად უნდა ატარებდნენ აქტიური მარკეტინგის პროგრამას;
- დ) გაყიდვა მოსალოდნელი უნდა იყოს 12 თვის ფარგლებში.

განხილვა

მაგრამ „ქეითი“ ჯერჯერობით მხოლოდ იხილავს დარჩენილი ინვესტიციის გაყიდვის საკითხს. წლის ბოლოსათვის არ არსებობს გაყიდვის საბოლოო განზრახვა. მაშასადამე, ჩემი რჩევაა, რომ მეკავშირე საწარმო აისახოს გრძელვადიანი აქტივებში.

კომენტარები კარგი კანდიდატის პასუხის შესახებ

დამეთანხმებით, რომ ეს პასუხი რთული არ არის, მაგრამ სავსებით ნათელი და გასაგებია.

აქედან გამომდინარე **გირჩევთ:** გამოცდაზე დამშვიდდით და მიეცით თავს ფიქრის უფლება.

- ა) ამგვარი ქმედების კონკრეტული მიზეზები;
- ბ) როდის და ვინ შეიტანა ცვლილებები და როდის და ვინ ჩაატარა მისი მიმოხილვა (როდესაც ეს შესაფერისია).

როდესაც აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ წარმოიშობა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც აუდიტორს ავალდებულებს ახალი ან დამატებითი აუდიტის პროცედურების ჩატარებას, ან აუცილებელია ახალი დასკვნების გამოტანა, აუდიტორმა დოკუმენტებში უნდა აღწეროს:

- ა) შექმნილი (მხედველობაში მიღებული) გარემოებები;
- ბ) ჩატარებული ახალი ან დამატებითი აუდიტის პროცედურები, მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები და გამოტანილი დასკვნები; და
- გ) ვინ და როდის შეიტანა ცვლილებები აუდიტის დოკუმენტაციაში და ვინ და როდის ჩაატარა მათი მიმოხილვა (როდესაც ეს შესაფერისია).

გემოაღნიშნული დებულებები აუდიტორს ასწავლის (და ავალდებულებს), როგორ უნდა მოამზადოს აუდიტის დოკუმენტაცია ასს 230-ისა და სხვა შესაფერისი ასს-ების სათანადო მოთხოვნების შესაბამისად. ამ მოთხოვნების საფუძვლიანი ცოდნა და სათანადოდ გამოყენება აუდიტორს დაიცავს არასასურველი და არასაჭირო სასამართლო პროცესებიდან.



სამუშაო დოკუმენტები უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ ჩატარდა ეკონომიური, მწარმოებლური და ეფექტიანი აუდიტი. ამიტომ სამუშაო დოკუმენტები გულმოდგინედ და კვალიფიციურად უნდა მომზადდეს.

სამუშაო დოკუმენტების მნიშვნელობა

აუდიტის სამუშაო დოკუმენტები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან:

- აუცილებელია აუდიტის ხარისხის მართვის მიზნებისთვის;
- უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ აუდიტის პარტნიორის მიერ დელეგირებული სამუშაოები სათანადოდ შესრულდა;
- უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ აუდიტი ეფექტიანად ჩატარდა;
- შეიცავს საკმარისად დეტალურ და მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამის ინფორმაციას, რომელიც ასაბუთებს აუდიტორის მიერ გამოტანილ დასკვნებს;
- ინახება იმ საკითხების ჩანაწერები და გამოტანილი დასკვნები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება მომდევნო წლების აუდიტშიც;

თავი აარიდეთ არასაჭირო და არააუცილებელი სამუშაო დოკუმენტების წარმოებას.

სანამ აუდიტორი გადაწყვეტს რომელიმე კონკრეტული აუდიტისთვის სამუშაო დოკუმენტების მომზადებას, ის უნდა დარწმუნდეს, რომ:

- ამა თუ იმ კონკრეტული დოკუმენტის ჩართვა აუცილებელია აუდიტის ფაილში, რადგან ის მნიშვნელოვანია ან სასარგებლოა აუდიტორული მოსაზრების დასასაბუთებლად, ან იმიტომ, რომ მასში მოცემულია საკადასახადო ან დამკვეთთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია;
- პრაქტიკული ან/და მიზანშეწონილი არ არის, რომ ეს დოკუმენტი დამკვეთის პერსონალმა მოამზადოს, ან აუდიტორმა გადაიღოს დამკვე-

თის პერსონალის (მათ შორის შიდა აუდიტორების) მიერ, თავისი ჩვეული მოვალეობების შესრულებისთვის მომზადებული დოკუმენტების ასლები.

სამუშაო დოკუმენტების შინაარსი

აუდიტის თითოეულ სამუშაო დოკუმენტს უნდა ჰქონდეს თავფურცელი, სადაც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- დამკვეთის სახელწოდება;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტით მოცული პერიოდი;
- განსახილველი საკითხი;
- ფაილის სახელწოდება ან საიდენტიფიკაციო ნომერი (2);
- იმ პერსონალის ინიციალები (ხელმოწერები), რომლებმაც მოამზადეს მოცემული სამუშაო დოკუმენტი და მისი მომზადების თარიღი;
- თუ სამუშაო დოკუმენტი დამკვეთის პერსონალის მიერ არის მომზადებული, თარიღი, როდესაც აუდიტორმა მიიღო ეს დოკუმენტი და გარიგების გუნდის იმ წევრის ინიციალები, ვინც ჩაატარა სამუშაო;
- აუდიტის გარიგების გუნდის იმ წევრის ინიციალები, ვინც მიმოიხილა სამუშაო დოკუმენტები და ასევე მიმოიხილვის ჩატარების თარიღი;
- აუდიტის თითოეული სამუშაო დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს საუკეთესო (კვალიფიციური) სამუშაო დოკუმენტის კრიტერიუმებს, რასაც დეტალურად განვიხილავთ ამ სტატიაში.

დამკვეთის მიერ მომზადებული სამუშაო დოკუმენტები

ზოგიერთი სამუშაო დოკუმენტი, რომელსაც აუდიტორი ითხოვს აუდიტის დროს, შეიძლება დამკვეთის პერსონალს უკვე მომზადებული ჰქონდეს. აუდიტორმა სათანადო ზომები უნდა მიიღოს იმისათვის (როდესაც ეს შესაძლებელია), რომ ამ დოკუმენტების ასლები ხელმისაწვდომი გახდეს აუდიტის გარიგების გუნდისთვის. თუ დამკვეთის პერსონალი აუდიტორის

მოთხოვნით ისეთ სამუშაო დოკუმენტებს ამზადებს, რომლებიც აუდიტორთან რჩება აუდიტის დამთავრების შემდეგ, აუდიტორმა ამ სამუშაო დოკუმენტების ფორმა დამკვეთის პერსონალთან უნდა შეათანხმოს აუდიტის საწყის სტადიაზე და ეს ინფორმაცია უნდა გაითვალისწინოს აუდიტის ჩატარების განრიგში.

როდესაც აუდიტორი მუშაობს მოსამზადებელი სამუშაო დოკუმენტების ფორმატზე, ის უნდა დარწმუნდეს, რომ სამუშაო დოკუმენტებში აისახება ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ამ ტიპის ყველა სამუშაო დოკუმენტში, როგორც წესი, ნათლად უნდა იყოს მითითებული, რომ მომზადებულია დამკვეთის პერსონალის მიერ. გარიგების გუნდის წევრმა, რომელსაც ევალუება გადანყვეტილების მიღება იმის თაობაზე, დამკვეთის პერსონალის მიერ მომზადებული რომელი სამუშაო დოკუმენტები უნდა ჩაირთოს აუდიტის სამუშაო დოკუმენტაციაში, ხელი უნდა მოაწეროს ამ დოკუმენტებს: ეს იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული დოკუმენტები შემოწმებულია და უკვე შესაძლებელია, რომ განიხილოს აუდიტის მენეჯერმა ან პარტნიორმა და შემდგომ აუდიტის გარიგების ხარისხის მიმოხილვებში. აუდიტის გარიგების გუნდის წევრის ხელმოწერა იმაზე მიუთითებს, რომ ჩატარდა მოცემული სამუშაო დოკუმენტის (რომელიც დამკვეთის პერსონალის მიერ არის მომზადებული) აუდიტი.

კვალიფიციური სამუშაო დოკუმენტების რამდენიმე მახასიათებელი

ჩვენს მიერ განხილული საკითხების ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ: სამუშაო დოკუმენტები მაშინ მიიჩნევა კვალიფიციურად, თუ ისინი ასს 230-ის მოთხოვნებს აკმაყოფილებს ანუ უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები:

- დოკუმენტიდან ნათლად უნდა ჩანს აუდიტის მიზანი; როგორც წესი, მიზანი გამოსახული უნდა იყოს აუდიტის (ფინანსური ანგარიშგების) მტკიცების ტერმინით (მაგალითად, სავაჭრო მოთხოვნების სისრულის შემოწმება“);

- დოკუმენტში სრულყოფილად უნდა იყოს მითითებული საანგარიშგებო თარიღი (მაგალითად, 20X9 წლის 31 ოქტომბერი), რათა არ მოხდეს მისი არევა სხვა საანგარიშგებო წლების შესაბამის სამუშაო დოკუმენტებთან;
 - სრულყოფილად უნდა იყოს მითითებული ტექსტის მოცულობა (ე.ი. რამდენი მუხლის ტექსტი ჩატარდა და როგორ განისაზღვრა შესამოწმებელი მუხლების რაოდენობა). ეს დოკუმენტის მომზადებელს და შემდეგ მის მიმომხილველებსაც (მაგ., გარიგების პარტნიორს ან გარიგების ხარისხის მიმომხილველს) საშუალებას მისცემს განსაზღვრონ, მოცემული სამუშაო დოკუმენტით მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების საკმარისობა;
 - როდესაც აუცილებელია სხვა დაკავშირებული სამუშაო დოკუმენტის მითითება, სრულყოფილად უნდა იყოს მითითებული „სხვა“ სამუშაო დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მახასიათებლები. საკმარისი არ არის მარტო იმის აღნიშვნა, რომ მონაცემები აღებულია „სხვა სამუშაო დოკუმენტიდან“;
 - სამუშაო დოკუმენტში ნათლად და ობიექტურად უნდა იყოს ასახული ტექსტის შედეგები და ეს შედეგები უნდა ეყრდნობოდეს დოკუმენტირებულ ფაქტებს (მონაცემებს);
 - აუდიტორის მიერ გამოტანილი დასკვნები უნდა შეესაბამებოდეს ტექსტის შედეგებს და მან უნდა „გაუძლოს“ დამოუკიდებელ შემოწმებას;
 - სამუშაო დოკუმენტი ნათლად და გარკვევით უნდა იყოს ინდექსირებული, რათა შესაძლებელი იყოს აუდიტის ფაილში მისი განთავსება სათანადო ადგილას და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დროს, მისი ადვილად პოვნა;
 - მას ხელს უნდა აწერდეს პირი, ვინც დოკუმენტი მოამზადა, რათა შეკითხვების ან სხვა ინფორმაციის მიღების საჭიროების შემთხვევაში (მაგ., შესაბამისი ორგანოს მიერ გარე ინსპექტირების ჩატარებისას), შესაძლებელი იყოს უშუალოდ ამ პირისთვის მიმართვა;
 - გარდა ამისა, დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს პირი, რომელმაც განიხილა ეს დოკუმენტი. დოკუმენტს ასევე დასმული უნდა ჰქონდეს დოკუმენტის მიმომხილვის ჩატარების თარიღი, რათა პასუხობდეს გარიგების ხარისხის მიმომხილვის მოთხოვნებს (იხ. ხმს 2 – „გარიგების ხარისხის მიმომხილვა“).
- აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმომხილველმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა დოკუმენტს ჰქონდეს ზემოთ განხილული მახასიათებლები. თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტს არა აქვს რომელიმე მათგანი, საკითხი უნდა მოგვარდეს ჩატარებული აუდიტის მიმომხილვის სტადიაზე (ე.ი. მიმომხილველი სამუშაო დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებული შეცდომის გასასწორებლად მიმართავს უშუალოდ იმ პირს, ვინც ეს დოკუმენტი თავდაპირველად მოამზადა).

ჩემი კომენტარები:

1. როგორც წესი, აუდიტის დროს შესრულებული სამუშაოს მიმომხილვა ტარდება აუდიტის დოკუმენტაციის მეშვეობით (რომელსაც ატარებს აუდიტორული ფირმის მიერ ამ მიზნისთვის დანიშნული სათანადო კვალიფიკაციითა და უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, მათ შორის აუდიტის მენეჯერი და გარიგების პარტნიორი), რაც გულისხმობს ამგვარი მიმომხილვის მასშტაბისა და ჩატარების თარიღის დოკუმენტირებას.
2. ნებისმიერ აუდიტორულ ფირმას აქვს აუდიტის ფაილების ნუმერაციისა და ინდექსირების საკუთარი სისტემა. ნებისმიერ სისტემაში, სამუშაო დოკუმენტების დანომვრის საუკეთესო გზა რიგითი ნომრის მინიჭება თითოეული განყოფილებისთვის. როდესაც კონკრეტული სამუშაო დოკუმენტი იმისთვისაა გამიზნული, რომ უნდა შეესაბამებოდეს და ასაბუთებდეს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლს, ან აუდიტის ფაილში შეტანილ სხვა სამუშაო დოკუმენტში ნაჩვენებ მონაცემებს/ინფორმაციას, აუდიტორმა, როგორც წესი, ეს დოკუ-

მენტი იმგვარად უნდა მოამზადოს, რომ ნათლად ჩანდეს ეს კავშირი და შესაბამისობა, კერძოდ, ისე, რომ საჭირო არ იყოს დამატებითი გამოკვლევისა და შეჯერების ჩატარება.

გახსოვდეთ:

აუდიტორული ფირმის დირექტორი ან პარტნიორი, რომელიც ხელს აწერს „დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას“, თითქმის არასდროს არ ატარებს აუდიტის პროცედურების დიდ უმრავლესობას. მათი მოსაზრება ჩატარებული აუდიტის სამუშაო დოკუმენტების განხილვას ეყრდნობა, რომელიც მოამზადა გარიგების გუნდმა;

აუდიტის სამუშაო დოკუმენტაცია ერთადერთი ოფიციალური მტკიცებულებაა, ზოგადად, ჩატარებული აუდიტის და, შესაბამისად, აუდიტის ხარისხის;

აუდიტის სამუშაო დოკუმენტაცია ერთადერთი მტკიცებულებაა, რითიც აუდიტორებმა უნდა დაიცვან თავი, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს წინაშე, თუ მათ რომელიმე დაზარალებული მხარე ბრალდებას წაუყენებს დაუდევრად ჩატარებული აუდიტის გამო!

დასკვნის სახით:

ამგვარად, აუდიტის სამუშაო დოკუმენტაცია უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ ჩატარდა ეკონომიური, მწარმოებლური და ეფექტიანი აუდიტი. ამიტომ სამუშაო დოკუმენტები გულმოდგინედ და კვალიფიციურად უნდა მომზადდეს. სამუშაო დოკუმენტები იმდენად დეტალურად და სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული, რომ გამოცდილი აუდიტორი, რომელსაც ადრე შეხება არ ჰქონია მოცემულ აუდიტთან, გაერკვეს ამ სამუშაო დოკუმენტებში, ანუ გაიგოს, რა სამუშაოები ჩატარდა, რა დასკვნები გამოიტანეს აუდიტორებმა და რა არგუმენტები დაედო საფუძვლად აუდიტორების მიერ გამოტანილ დასკვნებს და აუდიტორის საბოლოო მოსაზრებას ფინანსური ანგარიშგების უტყუარობისა და სამართლიანობის შესახებ.

ასევე, აუდიტის სამუშაო დოკუმენტაცია ჩატარებული აუდიტის ხარისხის ერთადერთი მტკიცებულებაა, რის საფუძველზეც ტარდება აუდიტორული ფირმების მუშაობისა და მათ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ხარისხის გარე ინსპექტირება, სათანადო უფლებამოსილი ორგანოების (მაგ., ზედამხედველობის სამსახურის) მიერ და აუდიტორული ფირმებისა და მათი აუდიტორების მუშაობის შეფასება.

დასასრულს, ვიმედოვნებთ, რომ სამუშაო დოკუმენტების მნიშვნელობისა და დანიშნულების, ასს 230-ის მოთხოვნების მოკლე განხილვიდანაც თქვენთვის უფრო ნათელი გახდა, რამდენად დიდი როლი და (ტვირთი) ეკისრება აუდიტის სამუშაო დოკუმენტებსა და იმ ინფორმაციას, რომელიც ამ დოკუმენტებში უნდა აისახოს. მაშასადამე, რამდენად მნიშვნელოვანია აუდიტორებისთვის, რომ ნათლად ჰქონდეთ გაცნობიერებული ასს 230-ისა და სხვა შესაფერისი აუდიტის სტანდარტების მოთხოვნები, რომლებიც აუდიტის სამუშაო დოკუმენტაციის მომზადებას ეხება.

აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მნიშვნელობის დასადასტურებლად, კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს დავამატებთ: თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში არსებობს სპეციალური კურსები, სადაც აუდიტორული ფირმები ახალ პერსონალს, ასისტენტებს, უმცროს აუდიტორებს აგზავნიან სამუშაო დოკუმენტების წარმოების ტექნიკის დასაუფლებლად.

ალბათ საბოლოოდ დარწმუნდით, რომ სამუშაო დოკუმენტების სათანადო დონეზე მომზადება არც თუ ისე იოლია!

და რამდენად მნიშვნელოვანია აუდიტორისთვის აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებული, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების ცოდნა.

თავდაპირველი სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდული საგამოცდო კომისიის წევრმა



**ახალი გამოკითხვა
არჩენებს, რომ ფინტეკი
მომავალია, თუმცა
ბუღალტერიისა და
ფინანსების
პროფესიონალების
ჩართულობა
აუცილებელია ნდობის
ასამაღლებლად**

ACCA-სა და CA ANZ-ს ახალ ანგარიშში გამოვლენილია დიდი შესაძლებლობები ბუღალტერიისა და ფინანსების პროფესიონალთათვის ფინტეკში. ანგარიში, რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით, ათი სხვადასხვა როლის იდენტიფიცირებას ახდენს, რომლებსაც მათი უნარები იდეალურად შეესაბამება.

ფინტეკი (ფინანსური ტექნოლოგიები) ზრდადი და მრავალფეროვანი სექტორია, რომელიც ინდუსტრიების მთელ სპექტრს მოიცავს, მათ შორის ონლაინ და ნეობანკებს, საგადახდო სისტემებს, საგადახდო პროგრამულ ინტერფეისებს, საინვესტიციო ბანკინგის ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, სადაზღვევო პროგრამულ უზრუნველყოფას და ა.შ. ის, ასევე, მოიცავს შედარებით ახალ და თანამედროვე სფეროებს, როგორცაა ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტები, კრიპტოვალუტები და არაცვალებადი ტოკენები (NFT).

თუმცა, ანგარიში სახელწოდებით ფინტეკი: შესაძლებლობები ფინანსების პროფესიონალთათვის, ასევე ავლენს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია კიბერ უსაფრთხოების რისკებთან, ახალ სტანდარტებსა და რეგულაციებთან. ის მოიცავს რეკომენდაციებს აღნიშნული რისკების შესამცირებლად.

ACCA-მ და CA ANZ-მ გამოკითხეს თავისი 5,700 წევრი, რომელთაგან 50% ხედავს

კარიერულ პერსპექტივას ფინტეკის მიმართულებით, ხოლო 14% - არა. სხვებმა ან არ იციან, ან ჯერ არ გადაუწყვეტიათ ამ მიმართულებით განვითარება.

როცა საქმე ეხება ფინტეკთან დაკავშირებულ კიბერუსაფრთხოების რისკებს, 83% ამბობს, რომ ინფორმაციაზე დამოკიდებული ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული რისკები გარდაუვალია, ამიტომ ფინტეკს აუცილებლად სჭირდება მოიპოვოს სახელმწიფოების, ბიზნესებისა და საზოგადოების ნდობა.

რესპონდენტები მიესალმებიან სახელმწიფოთა გააქტიურებას ფინტეკის დანერგვის ხელშეწყობაში, რაც მოიცავს საერთაშორისო კონტაქტების შექმნას საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად (83%) და საგანმანათლებლო პარტნიორობთან მუშაობას ფინტეკის მიმართულებით უნარების გასაუმჯობესებლად (85%).

ანგარიშმა გამოავლინა ათი განსხვავებული სამუშაო როლი ბუღალტრებისა და ფინანსების პროფესიონალთათვის ფინტეკში. ის ასევე განმარტავს, თუ როგორ უწყობს ხელს მათი კონტრიბუცია და უნარები იმ ორგანიზაციებს, რომლებისთვისაც ისინი მუშაობენ ან წარმოადგენენ. ანგარიშში მოცემული რეალური მაგალითები მოიცავს ფინანსური დირექტორების, აუდიტორების, ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტებისა და მენარმეების გამოცდილებებს.



ACCA-ს აღმასრულებელი დირექტორი, **ჰელენ ბრენდი** აცხადებს: „ფინტეკში უკვე შეინიშნება მრავალფეროვანი აქტივობა. ბულალტრებსა და ფინანსების პროფესიონალებს შეუძლიათ ფინტეკ სამყაროს ნაწილი გახდნენ, თუ უკვე არ არიან. მათი ჩართულობა, ამ შედეგებით ახალი ინდუსტრიის განვითარებაში, აუცილებელია; მათი ცოდნა, გამოცდილება და ეთიკური შეხედულებები ფასდაუდებელია.“



CA ANZ-ის აღმასრულებელი დირექტორი, **აინსლი ფონ ონსელენი** კი განმარტავს: „ჩვენ ძალიან დიდ შესაძლებლობებს ვხედავთ ბულალტრებისა და ფინანსების პროფესიონალობათვის ფინტეკში – განსაკუთრებით კი ფინანსური ინფორმაციის სიცხადისა და ნდობის გაუმჯობესების გზით.“

იმისათვის, რომ ამ მიმართულებით შესაძლებლობებისთვის მზად იყვნენ, ანგარიში პროფესიონალებს ურჩევს:

- ✓ გაიღრმავონ ცოდნა ფინტეკის წიაღში არსებული პროდუქტებისა და სერვისების შესახებ.
- ✓ ჩამოიყალიბონ ფინტეკის კონკრეტული მიმართულებების შესაბამისი გარემო, რადგან ხშირად არსებობს ისეთი ადამიანების საჭიროება, რომელთაც შეუძლიათ სტანდარტებისა და რეგულაციების გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღება.


- ✓ განეწყონ ინოვაციებისათვის. ფინტეკი ძალიან სწრაფად ცვალებადი და დინამიკურია, ამიტომ ყველაზე დიდ სარგებელს ხედავს ისეთ ადამიანებში, რომლებიც აღფრთოვანდებიან ახალი იდეებით და აქვთ სურვილი თავისი წვლილი შეიტანონ მათ განხორციელებაში.

ანგარიშის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.accaglobal.com

წყარო: accaglobal.com

მდგრადი პალი – ეკონომიკური გარდაქმნის გასაღები

მსოფლიოს უამრავი ქვეყანა ეძებს გზას, თუ როგორ მიმართოს კაპიტალური ინვესტიციები ისეთი აქტივობებისკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ უფრო მდგრად, ნახშირბადზე ნაკლებად დამოკიდებულ ეკონომიკაზე გადასვლას. ამ დიდი ცვლილების დასაფინანსებლად, ინვესტიციებსა და რეგულაციურებს სჭირდებათ მდგრადი სასესხო ბაზრები, როგორც ძირითადი ინსტრუმენტი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიზნების მისაღწევად წამოწყებული პროექტების დასაფინანსებლად.



„ამ შედარებით ახალ, ჯერ კიდევ განვითარებად და სწრაფად მზარდ ბაზარზე ნდობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია“, განაცხადა **კვინ დენსიმ**, IFAC-ის აღმასრულებელმა დირექტორმა. „ისევე, როგორც ნებისმიერ ფინანსურ ინოვაციაში, აქაც არის გამოწვევები. საჭიროა გამჭრიახი რეგულაციები, სტანდარტიზაცია და გარე შეფასება, რათა დასული იყოს ინვესტორთა ინტერესები და გაიზარდოს გამჭვირვალობა. ამ საფონდო პროგრამების დეტალების გამოკვლევა როგორც გაცემამდე, ისე - გაცემის შემდგომ ყოველწლიური ანალიზი აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციებისთვის“.

ახალი კვლევა, რომელიც მიმოიხილავს მდგრად სასესხო ბაზრებზე არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს არის IFAC-ისა და CPA Canada-ს ერთობლი-

ვი მუშაობის შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი სასესხო ბაზარი მნიშვნელოვნად განვითარდა გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, კვლევამ აღმოაჩინა რამდენიმე საკითხი, რომელთა გამოსწორებაც სარგებელს მოუტანს კაპიტალის ბაზრების ყველა მონაწილეს. ეს გამოწვევები მოიცავს: ბაზრის მიერ ნაკარნახევი გადაწყვეტილებების გავრცელებას; საერთო გაგების ნაკლებობა იმის შესახებ, თუ როგორი პროექტები კვალიფიცირდება როგორც „მწვანე“ ან „მდგრადი“; და არათანმიმდევრული ანგარიშების, ბემოქმედების გაზომვის, გარე მიმოხილვისა და რწმუნების პრაქტიკა.

„მდგრადობა უფრო და უფრო მეტად ინტეგრირდება ბიზნეს, საინვესტიციო და ფინანსურ გადაწყვეტილებებში,“ განაცხადა პამელა სტირმა, CPA Canada-ს აღმასრულებელმა დირექტორმა და პრეზიდენტმა. „ბუღალტერის პროფესიისთვის საჯარო ინტერესის მსახურება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მას მოუწევს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი ფინანსების განვითარებაში. ერთობლივი ძალებით, პროფესია გააგრძელებს უკეთესი პოლიტიკის, რეგულაციებისა და სტანდარტების მხარდაჭერას“.

IFAC და CPA Canada მიესალმება მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შექმნას, როგორც მდგრადობის პოპულარიზაციისკენ მიმართულ ღონისძიებას IFRS-ის ფონდის მხრიდან. გლობალური მხარდაჭერის მექონე მდგრადობის სტანდარტები გააძლიერებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიზნებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და გახდის მათ უფრო თანმიმდევრულსა და შედარებითს.

ანგარიშის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.ifac.org

წყარო: ifac.org

ვებგვერდი, 05/05/2022
სარეგისტრაციო კოდი
200230040.22.033.017583

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №134 2022 წლის 4 მაისი ქ. თბილისი

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით (სსმ, №172, 31.12.2010, სარეგისტრაციო კოდი 200230040.22.033.016103) დამტკიცებულ „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ“ ინსტრუქციაში (დანართი №4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუპირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165¹ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით დადგენილ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, მას შეუძლია, მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში, მიუხედავად ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლისა, პირი ვალდებულია, შეასრულოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.“

2. მე-4 მუხლის მე-7-მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. იმ შემთხვევაში, თუ იცვლება განცხადებაში დაფიქსირებული ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახე ან/და ობიექტის რაოდენობა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, განცხადებით (დანართი №1) მიმართოს საგადასახადო ორგანოს ცვლილების მოთხოვნით, რის შემდეგაც დარიცხვა მომდევნო საანგარიშო პერიოდიდან უნდა განხორციელდეს შემდგომ წარდგენილ განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისად. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახის ან/და ობიექტის რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში, გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება გაუქმებას (გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა).“

8. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, ცვლილებამდე აცნობოს საგადასახადო ორგანოს (დანართი №1). ასეთ შემთხვევაში, გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება გაუქმებას.

9. დარიცხული ფიქსირებული გადასახადი, შესაბამისი საანგარიშო თვის დადგომის შემდეგ, შესაძლებელია, გადაანგარიშდეს მხოლოდ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი წესით საგადასახადო ორგანოს მიერ საკითხის შესწავლის შედეგად.“

3. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერებამდე განცხადებით (დანართი №3) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „3. საქმიანობის განახლების შემთხვევაში, პირი ვალდებულია, განახლებამდე აცნობოს საგადასახადო ორგანოს (დანართი №3) და გადაიხადოს საქმიანობის განახლების თვის ფიქსირებული გადასახადი სრულად.“.

4. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
5. დანართი №3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
6. დანართი №4 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

დანართი №1

 (საგადასახადო ორგანოს დასახელება)

 (გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

 (მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის/ ფიქსირებულ გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის/ობიექტის რაოდენობის/მისამართის ცვლილების თაობაზე

გაცნობებთ, რომ ვეწევი _____ საქმიანობას.
 (საქმიანობ(ებ)ის სახე)

№	საქმიანობის სახე	დაბეგვრის ობიექტი	ობიექტის რაოდენობა	ობიექტის მისამართი	გადასახადის განაკვეთი ობიექტზე	კუთვნილი გადასახადი (4 X 6)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	

ჯამი

შენიშვნა:

- ა) განცხადებაში მონაცემები მიეთითება სრულად, წინა განცხადების გათვალისწინებით;
- ბ) საქმიანობის სახის, ობიექტის რაოდენობის ან/და საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი ექვემდებარება გაუქმებას (გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა).

გთხოვთ, მომანიჭოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

გამიუქმეთ:

- მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № ---- სერტიფიკატი
- მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № ---- სერტიფიკატი.

ხელმოწერა

თარიღი „ — „ —————, 20 წელი

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების/განახლების შესახებ
გაცნობებთ, რომ

შევაჩერებ

განვაახლებ

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას
(საქმიანობის სახე)

საქმიანობ(ებ)ის ნაწილში.

სერტიფიკატ(ებ)ის ნომერი:

საქმიანობის შეჩერების/განახლების თარიღი
20.. წლის თვიდან

ხელმოწერა
თარიღი „ — „ „-----“, 20 წელი

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების/განახლების შესახებ
გაცნობებთ, რომ

შევაჩერებ

განვაახლებ

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას
(საქმიანობის სახე)

საქმიანობ(ებ)ის ნაწილში.

საქმიანობის შეჩერების/განახლების თარიღი 20.. წლის თვიდან

ხელმოწერა

თარიღი „ — „ „-----“, 20 წელი

ვებგვერდი, 11/05/2022
 სარეგისტრაციო კოდი
 200090000.22.033.017584

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
 ბრძანება №141
 2022 წლის 10 მაისი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
 ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
 ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 78-ე მუხლის 6¹ პუნქტის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. აკრძალულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის შემდეგ ქვეყნის შიგნით აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე მიწოდება.

2. იმპორტიორს, რომელმაც აქციზური მარკა მიიღო საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის ნიშანდების მიზნით, უფლება აქვს აქციზური მარკით ნიშანდება განახორციელოს საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანამდეც, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის განხორციელებამდე.“.

2. 79² მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ ქვეპუნქტი:

„ტ) იმპორტირებული სითხეები განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის 10 800-ცალიანი შეკვრა (მშრალი).“.

3. 80¹ მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. თამბაქოს და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის მწარმოებელთან გადაგზავნამდე აქციზური მარკების შეფუთვა ხდება აქციზური მარკების გაცემის ადგილზე, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციის მიერ, მეწარმე სუბიექტის უფლებამოსილი წარმომადგენლის, შემოსავლების სამსახურის ან/და შერჩეული პირის წარმომადგენლების თანდასწრებით, რაზედაც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.“.

4. 81² მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) უზრუნველყოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00, 2403 91 000 00, 2403 99 100 00, 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებული საქონლისათვის მიღებული მატერიალური აქციზური მარკის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება) აქციზური მარკის მიღებისთანავე, არაუგვიანეს მიღებიდან 1 სამუშაო დღისა; ხოლო 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისათვის მიღებული მატერიალური აქციზური მარკის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება) – არაუგვიანეს საქონლის მიწოდების განხორციელებისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
 მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი კაკაურიძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №150
2022 წლის 18 მაისი ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და 81-ე მუხლის:

1. მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო ორგანოები (გარდა საბაჟო დეპარტამენტისა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰, 42¹¹, 44⁴ და 91² მუხლებით, 135² მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153¹, 153⁵, 153⁷, 153⁸, 153¹⁰-153¹², 154¹, 154², 155¹-155³, 155⁵ და 155⁶ მუხლებით, 155⁷ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155⁹, 155¹⁰, 157-ე, 157¹-157⁴, 158-ე, 158¹, 159⁴, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165-ე-165³, 165¹⁰ და 165¹¹ მუხლებით, 171⁴ მუხლის მე-2 ნაწილით, 171⁵, 174¹⁷, 176⁴, 176⁵, 177¹⁴, 177¹⁵, 178-ე, 179³, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო ორგანო (გარდა საბაჟო დეპარტამენტისა) განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით, 135² მუხლის მე-2 ნაწილით, 153⁷, 153⁸ და 153¹⁰-153¹² მუხლებით, 155³ მუხლის პირველი-მე-10 ნაწილებით, 155⁵ მუხლით, 155⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე, 165-ე, 165¹⁰ და 165¹¹ მუხლებით, 171⁵ მუხლის მე-3, მე-7, 8¹ და 8² ნაწილებით, 174¹⁷, 176⁴, 176⁵, 177¹⁴, 177¹⁵, 179³, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის მე-2 პუნქტით.“.

2. მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. საბაჟო დეპარტამენტი:

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს განიხილავს და ადმინისტრაციულ სახდელს ადებს იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლით, 42¹¹ მუხლის პირველი-2¹ ნაწილებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127¹ მუხლის მე-2, 3¹ და 3² ნაწილებით, 129¹ მუხლით, 155³ მუხლის პირველი-მე-6 და მე-7-მე-10 ნაწილებით, 155⁵ მუხლით, 155⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე მუხლით, 171⁵ მუხლის მე-3, მე-7, 8¹ და 8² ნაწილებით, 174¹⁷, 177¹⁵, 179³, 191¹ და 194-ე მუხლებით;

ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს და შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვისთვის უგზავნის რაიონის (ქალაქის) სასამართლოს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44⁴ და 91² მუხლებით, 91³ მუხლის პირველი ნაწილით, 99-ე მუხლით, 155¹ და 155² მუხლებით, 155³ მუხლის მე-11-მე-20 ნაწილებით, 155⁶ მუხლის მე-3-მე-5 ნაწილებით, 155⁷ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155⁹, 155¹⁰, 157¹-157³, 158-ე, 159⁴, 163-ე, 164-ე, 171⁵ მუხლის პირველი, მე-2, მე-4 – მე-6, მე-8 და მე-9, მე-10, მე-11 – მე-18 ნაწილებით.“.

3. მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტითა და 5¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლით, 135² მუხლის მე-2 ნაწილით, 153⁷, 153⁸ და 153¹⁰-153¹² მუხლებით, 155³ მუხლის პირველი-მე-10 ნაწილებით, 155⁵ მუხლით, 155⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171⁵ მუხლის მე-3, მე-7, 8¹ და 8² ნაწილებით, 174¹⁷, 176⁴, 176⁵, 177¹⁴, 177¹⁵ და 191¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.

8. ამ მუხლის მე-5 და 5¹ პუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თანდართულ მასალებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ ეგზავნება მის განხილვაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

საქართველოს კანონი

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30.10.2019, სარეგისტრაციო კოდი: 080090020.05.001.019627) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში და სამოქმედო გეგმა უნდა განახლდეს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ.“.
2. მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. აკრძალულია საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან გაგრძელება, ერთჯერადი გარიგების დადება ან შესრულება, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტი ან გარიგების მონაწილე სხვა პირი ამ კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი პირია. ასეთ შემთხვევაში ანგარიშვალდებულებული პირი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგება.“.
3. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:
„6. საზედამხედველო ორგანოს სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ელექტრონულად კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, აგრეთვე კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის წესი.“.
4. 34-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სამსახური ანალიზებს ანგარიშვალდებულებული პირებისგან და სხვა წყაროებიდან მიღებულ ანგარიშგებებსა და სხვა ინფორმაციას (დოკუმენტს) და ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში თავისი ანალიზის შედეგებს უგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურს ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.“.
5. 39-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. სამსახური უფლებამოსილია საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის ან საამისოდ უფლებამოსილი მათი მოადგილეების დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს მიაწოდოს თავის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია (დოკუმენტი), რომელიც აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების მიზნების მისაღწევად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
11 მაისი 2022 წ.
N1566-VIIIმს-Xმპ

ვებგვერდი, 23/05/2022
 სარეგისტრაციო კოდი
 280030000.73.085.016012

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
 საპენსიო სააგენტოს დირექტორის
 ბრძანება №001/02
 2022 წლის 20 მაისი ქ. თბილისი**

„დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 25-ე მუხლის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №001 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016001) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

- ა) ამოღებულ იქნეს 6¹ მუხლი;
- ბ) ამოღებულ იქნეს დანართი №1 და დანართი №2.

მუხლი 2

- 1. ეს ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე
- 2. ბრძანების მოქმედება ვრცელდება 2022 წლის 28 მარტიდან.

საპენსიო სააგენტოს დირექტორი

გიორგი დანელია

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
საპენსიო სააგენტოს დირექტორის
ბრძანება №002/03
2022 წლის 20 მაისი ქ. თბილისი**

„საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 25-ე მუხლის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 31/07/2019, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016002) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ, ამოღებულ იქნეს 13¹ მუხლი.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
2. ბრძანების მოქმედება ვრცელდება 2022 წლის 28 მარტიდან.

საპენსიო სააგენტოს დირექტორი

გიორგი დანელია

ვებგვერდი, 13/05/2022
სარეგისტრაციო კოდი
260000000.64.076.016108

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბრძანება №4
2022 წლის 11 მაისი ქ. თბილისი**

**ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის, აუდიტის,
მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების
საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის
კოდექსის ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით (2020 წლის გამოცემა) გათვალისწინებული:

ა) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (შემდგომ – სტანდარტი);

ბ) აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები (შემდგომ – სტანდარტი).

2. ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი (2020 წლის გამოცემა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) (შემდგომ – პროფესიული ეთიკის კოდექსი).

3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული სტანდარტები და პროფესიული ეთიკის კოდექსი განთავსდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) ვებგვერდზე (www.saras.gov.ge).

4. სამსახური უზრუნველყოფს ამ ბრძანებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტებისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის თარგმანის პერიოდულ რედაქტირებას, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნათელა გლოველი

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა
და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის
ბრძანება №5-5
2022 წლის 18 მაისი ქ. თბილისი**

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №6-6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №6-6 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 22/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 350080000.64.076.016059) დამტკიცებულ „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-12 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12¹ მუხლი:

„მუხლი 12¹. სააღრიცხვო საქმიანობების გამწევი პირის შესახებ ინფორმაცია

1. სააღრიცხვო საქმიანობების გამწევი პირის შესახებ ინფორმაციის ჩანართში, სააღრიცხვო საქმიანობების სფეროში მოქმედმა სუბიექტმა უნდა მიუთითოს დასაქმებული სააღრიცხვო საქმიანობის მომსახურების მიწოდების გამწევი პირ(ებ)ის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის მიმართულება (აუდიტი, ბუღალტერია, საგადასახადო კონსულტაცია).

2. ამ მუხლის მიზნებისთვის სააღრიცხვო საქმიანობა განიმარტება „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივლისიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნათელა გლოველი

რედაქციის შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
ბაჟის საბაღასასხალო კომიტეტი

კითხვა:

ჩვენი შპს რეგისტრირებულია როგორც სასტუმრო და შესაბამისად, ვენევით ამ მომსახურებას. სასტუმრო მომსახურებაზე ინვოისი გამოწერილია 27.04.2022-04.05.2022 პერიოდზე ტურისტულ სააგენტოსთან. გვაინტერესებს, დღგ-ს ანაგარიშ-ფაქტურას რომელ თვეში გამოვწერთ და ვტვირთავთ პორტალზე?

პასუხი:

თუ ანაზღაურება წინასწარ არის მიღებული, მაშინ აპრილში გამოიწერება ე.წ. „ავანსის ანგარიშ-ფაქტურა“, ხოლო მაისში - საბოლოო ანგარიშ-ფაქტურა. ხოლო თუ ანაზღაურება მიიღება მომსახურების ჩაბარების შემდგომ - მაშინ ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება მყიდველის მოთხოვნისას. ამასთან, დღგ-ის საანგარიშო პერიოდად, უმჯობესი იქნება, თუ განიხილავთ შესაბამისი თვის დღეების მიხედვით, მაგალითად, 27.04-30.04 იქნება აპრილის საანგარიშო პერიოდი, ხოლო 1.05-4.05 - მაისისა.

კითხვა:

კომპანია საქართველოში დააფუძნა თურქეთის მოქალაქემ, რომელიც იმავდროულად არის მისი დირექტორი ასევე, არის ტრაილერის მძღოლი და ტვირთებს ბიდავს თურქეთი – საქართველო – აზერბაიჯანის მიმართულებით. შეგვიძლია თუ არა მივლინების გაფორმება თურქეთში და აზერბაიჯანში და სამივლინებო თანხების როგორი ანაზღაურება მივცეთ, როდესაც სხვასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე რამდენ დღეს დაჰყოფს წინასწარ არ ვიცით. ასევე ასანაზღაურებელია სანავის ღირებულება და შესაბამისად საბუთი არის საკასო ჩეკი, სხვა საბუთს არ აძლევენ. მოკლედ, რა საგადასახდო ვალდებულებები წარმოიშობა რომ გავითვალისწინოთ?

პასუხი:

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ამ პირის „მუდმივი სამუშაო ადგილი“. ეს შეიძლება გაკეთდეს დირექტორის ბრძანებით. ამის შემდეგ შეგეძლება იმის განსაზღვრა, სად ყოფნა ჩაითვლება მივლინებად და სად ყოფნა – არ ჩაითვლება.

სამივლინებო თანხების ანაზღაურების ბევრი გზა არსებობს, თუმცა ყველა მათგანი მოითხოვს, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა მივლინების დასრულებიდან გარკვეულ ვადაში წარმოადგინოს წერილობითი ანგარიში და დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები, რომელთა ფორმაც შეიძლება არ ემთხვეოდეს საქართველოში დადგენილ ფორმას, მაგრამ შეესაბამებოდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომელშიც იმყოფებოდა მივლინებული პირი.

ის ფაქტი, რომ წინასწარ არ ვიცით მივლინების დღეების რაოდენობა, არ წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან თუ ყველა დანაჩენ ნაწილში სრულად მოხდება დოკუმენტაციის

მოწესრიგება, მივლინების თანხები შეგიძლიათ გასცეთ მივლინების დასრულების შემდგომ ფაქტობრივი დღეების მიხედვით.

რაც შეეხება საწვავს, თუ ყველა დანარჩენ ნაწილში სრულად მოხდება დოკუმენტაციის მოწესრიგება – მაგალითად, მოხდება მივლინების მიზნობრიობის დადასტურება, ასევე გაფორმდება ე.წ. საწვავის ჩამოწერის აქტი მინიმუმ თვეში ერთხელ, ასევე მოწესრიგდება დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობით (მ.შ. ჩამოწერილი საწვავი იქნება რეალური გარბენის შესაბამისი, ასევე მოხდება ნაყიდი საწვავის თანამშრომელზე გადაცემის დადასტურება შესაბამისი ინსტრუქციით დადგენილი წესით და ა.შ.), საზღვარგარეთ ნაყიდი საწვავის ჩეკი წარმოადგენს ხარჯის დოკუმენტს. რაც შეეხება ადგილობრივ გამყიდველებს, მათგან საქონლის შეძენა უნდა მოხდეს საფ-ის საფუძველზე. მსგავსი დეტალები შესაბამისი მაგალითების საფუძველზე აღწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის №230 ბრძანებაში, რომელიც ეხება საწვავის ჩამოწერის წესს.

თუ ყველა ხარჯი დოკუმენტურად არის დადასტურებული (დღიურ ხარჯებს, ე.წ. „per diem“-ს დოკუმენტური დადასტურება არ ჭირდება) და ისინი არ აჭარბებს დადგენილ ნორმებს (იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“), მაშინ ფიზიკური პირის დაბეგვრა არ წარმოიშობა.

კითხვა:

კომპანიებს შორის, ურთერთშედარების აქტით, დავალიანებების ურთიერთჩათვლისას, დღგ-ს ჩათვლას რაიმე შემლუდვა აქვს თუ არა დღგ-ს ახალი ცვლილებებით? საქმე ეხება მარკეტინგული მომსახურების ჩათვლას.

პასუხი:

დავალიანებათა ურთიერთჩათვლა ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმაა და პირდაპირი კავშირი დღგ-სთან არ აქვს. საქმე ის არის, როგორ წარმოიშვა ეს დავალიანებები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, როდის წარმოიშვა, იყო თუ არა გამყიდველი ან მყიდველი მხარე ამ დროს დღგ-ის გადამხდელი, დაბეგრილი იყო თუ არა შესაბამისი საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაცია დღგ-ით და ა.შ. ამის შემდეგ შეგვეძლება ვიმსჯელოთ, აქვთ თუ არა მხარეებს დღგ-ის ჩათვლის უფლება.

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, შესაძლოა თუ არა აღნიშნული დაკვალიფიცირდეს შინაარსობრივად, როგორც ბარტერი და არსებობს თუ არა რისკი იმისა, რომ გავრცელდეს ბარტერის დაბეგვრის სპეციალური წესები (რომელიც 2021 წლიდან არის შეცვლილი). ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, დაბეგვრის მიზნებისთვის, გავრცელდება თუ არა ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანების 112-ე მუხლის 46 და 47 ნაწილებით დადგენილი ე.წ. ძველი ბარტერისა და ახალი ბარტერის წესის გამოყენების წესი, კერძოდ ის, რომ ბარტერის დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენს მიერ მიწოდებას და სანაცვლო მოწოდებას (ანუ ორივე) მომხდარია 2021 წლის 1 იანვრის შემდგომ, სხვა შემთხვევაში (მაგალითად, თუ ჩვენ მივანოდეთ საქონელი 2021 წელს, მაგრამ სანაცვლო საქონელი/მომსახურება მოგვეწოდა 2020 წელს) ორივე მხარეზე, მ.შ. იმ პირობე, ვინც 2021 წელს მიანოდა საქონელი (ანუ ჩვენზე) გავრცელდება ბარტერის დღგ-ით დაბეგვრის ე.წ. ძველი წესი.

კითხვა:

შპს-მ შეიძინა პატარა თვითმცლელი თავისი სამუშაოების შესასრულებლად. ვიციდეთ სანვაკი, რომელიც არის ბარათზე და შეგვიძლია ვნახოთ რომელ დღეს რამდენი ჩაასხა მძღოლმა. როგორ უნდა მოვახდინოთ აღრიცხვა, ეს თვითმცლელი ხან იქნება დღე საერთოდ არ გაინძრევა ადგილიდან, ხან წავა კომპანიას საქმეზე. გვაინტერესებს, ყოველდღე უნდა მოგვანოდოს ჩვენება და გვითხრას სად იმოდრავებს, კილომეტრებით თუ კაცსაათებით დავთვალოთ და ისე ვალიაროთ საგადასახდო ხარჯად? რა მონაცემებს ითხოვს შემოსავლების სამსახური?

პასუხი:

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, გთხოვთ, გაეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №230 ბრძანებას „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული სანვაკის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების თაობაზე - <https://matsne.gov.ge/document/view/1302515?publication=0>

კითხვა:

გთხოვთ განგვიმარტოთ, ვალდებულია თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი, გააფორმოს შრომით ხელშეკრულება მეუღლესთან, თუ ისინი ერთობლივად ეწევიან საქმიანობას? თუ მეუღლეზე არ ხორციელდება ხელფასის გაცემა, უნდა აისახოს თუ არა იგი დაქირავებულ პირთა რეესტრში?

პასუხი:

ამგვარი ვალდებულებები არ არსებობს. გარდა ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით 2022 წლის ივნისის თვეში დამტკიცდა სიტუაციური სახელმძღვანელო 2431.

კითხვა:

გთხოვთ გაგვინიოთ დახმარება ინვენტარიზაციის შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ: დანაკლისი, საბაზრო ფასიდან იბეგრება დღგ-ით თუ თვითღირებულებიდან და დანაკლისი, რომლის შეძენისას დღგ არ არის ჩათვლილი, იბეგრება თუ არა დღგ-ით?

პასუხი:

საგადასახდო კოდექსის 286.9-ე მუხლის თანახმად, დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად. შესაბამისად, იგი დაიბეგრება მოგების გადასახადითა და დღგ-ით. იგი ასევე შეიძლება დაჯარიმდეს (საგადასახდო ორგანოს მიერ აღმოჩენის შემთხვევაში) საბაზრო ღირებულების 10 %-ით.

ასევე, 2022 წლისთვის მოქმედი კანონდებლობის მიხედვით, დღგ-ის მიზნებისთვის დანაკლისი იბეგრება საბაზრო ფასიდან (იხილეთ სსკ-ის 160-ე და 164-ე მუხლები) გამომდინარე. რაც შეეხება მოგების გადასახადს (ვგულისხმობთ ე.წ. ესტონურ მოდელს), აქაც დაბეგრვა ხდება საბაზრო ფასიდან დღგ-ის გარეშე (იხილეთ სსკ-ის 97-ე და 983 მუხლები)

კითხვა:

რა გადასახადებით იბეგრება არამწარმე ფიზიკური პირი, რომელიც დისტანციურად უწევს სხვადასხვა მომსახურებას (შესაძლოა იყოს მონაცემების დამუშავება, დიზაინერული მომსახურება) არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და უცხოეთიდან იღებს შემოსავალს ამ მომსახურებაზე?

პასუხი:

თქვენ შეიძლება წარმოგეშვათ დღგ-ითა და საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება. დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მომზადებისთვის მნიშვნელოვანია უშუალოდ ხელშეკრულების პირობების განხილვა და იმის გაანალიზება, თუ ვინ არის მომსახურების მიმღები პირი. ამასთან, დაბეგვრა შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც მომსახურების სახეობაზე, ისე იმ ობიექტზე, რომელთანაც დაკავშირებულია ეს მომსახურება. მაგალითად, თუ დიზაინერული მომსახურება დაკავშირებულია უცხოეთში მდებარე უძრავ ქონებასთან, იგი ჩაითვლება უცხოეთში განხორციელებულ მომსახურებად და დღგ-ით არ დაიბეგრება, ხოლო თუ იგივე მომსახურება დაკავშირებულია უცხოეთში მდებარე მოძრავ ქონებასთან, იგი შეიძლება დაიბეგროს ან არ დაიბეგროს საქართველოში. გარდა ამისა, დღგ-ით დაბეგვრა ასევე შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მომსახურების მიმღები - ფიზიკური თუ იურიდიული პირი და ა.შ.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი მომსახურება შეიძლება იბეგრებოდეს დღგ-ით და არ იბეგრებოდეს საშემოსავლო გადასახადით და პირიქით.

კითხვა:

ფიზიკური პირი, საცხოვრებელ ფართს აქირავებს საბინაო-საცხოვრებელი მიზნით და მიღებულ შემოსავალზე არ ახორციელებს ხარჯების გამოქვითვებს. შეგვიძლია თუ არა ხარჯების (კომუნალურები) გამოქვითვა და იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5 %-იანი თუ 20 %-იანი განაკვეთით?

პასუხი:

თუ ფიზიკური პირი საცხოვრებელ ფართს საცხოვრებელი მიზნით აქირავებს ფიზიკურ პირზე და არ აწარმოებს გამოქვითვებს (მათ შორის, „კომუნალურების“), ასევე თუ სრულდება 82-ე მუხლით დადგენილი დამატებითი პირობები, მაგალითად ის, რომ 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრისთვის აუცილებელია ასეთი გარიგების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა და რეგისტრაცია შემოსავლების სამსახურში ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანების 1112 მუხლით დადგენილი წესის მიხედვით, მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5 %-იანი განაკვეთით. ამავე განაკვეთით დაიბეგრება ფიზიკური პირი, თუ ის საცხოვრებელ ფართს საცხოვრებელი მიზნით აქირავებს იურიდიულ პირზე, არ აწარმოებს გამოქვითვებს და ფართის რეგისტრაცია მოხდება შემოსავლების სამსახურის შესაბამის რეესტრში. ყველა სხვა შემთხვევაში განაკვეთი არის 20 %.

კითხვა:

ჩემს მიერ გადაგზავნილი დღგ-ს ფაქტურა, როცა 15 რიცხვის შემდეგ დამიდასტურა მყიდველმა, როდის შემიძლია მივაბა დეკლარაციას, იგივე თვე უნდა დავაზუსტო თუ შემდეგ თვეშიც შემიძლია მიბმა?

პასუხი:

უმჯობესია, თუ დააზუსტებთ (განსაკუთრებით ავანსის საფ-ს), თუმცა, თუ, მაგალითად, მიწოდების საფ-ზეა საუბარი, შემდეგ თვეშიც შესაძლებელია მიბმა.

კითხვა:

კომპანიამ საზღვარგარეთ იყიდა და საზღვარგარეთვე გაყიდა ტვირთი. მაქვს ყიდვა-გაყიდვის და ტრანსპორტირების ინვოისები. სხვა რა სახის დოკუმენტი შეიძლება დამჭირდეს საგადასახადო ვალდებულების შესრულებისათვის?

პასუხი:

დოკუმენტების ამგვარი ჩამონათვალი არ არსებობს. მთავარია, რომ უტყუარად დგინდებოდეს ოპერაციის განხორციელების ფაქტი, ადგილი, მონაწილე პირთა ვინაობა, ოპერაციის თანხა და ა.შ. (იხილეთ სსკ-ის 72-ე მუხლი).

კითხვა:

შპს-მ იჯარით აიღო ფიზიკური პირისგან კომერციული ფართი, კორპუსის პირველი სართულია და გახსნა ოფისი. შპს-მ ფიზიკური პირის მიმართ რამდენი პროცენტი უნდა დააკავოს საშემოსავლო გადასახადი და რა ვადებში უნდა გადაიხადოს?

პასუხი:

არამენარმე და/ან დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს უკავდება საშემოსავლო გადასახადი 20 %-იანი განაკვეთით.

კითხვა:

ინდენარმის ანგარიშზე არის გადმორიცხული სხვა ფიზიკური პირის მიერ თანხები. შესაბამისად, თუ იყიდეს რაღაცა მაშინ მე აუცილებელია გავწერო ბედნადები შეძენილ საქონელზე, ხოლო თუ უბრალოდ ჩაირიცხა და არ გასულა საქონელი, მაშინ შემოსავლად შემიძლია ვაღიარო და ეს საკმარისი იქნება?

პასუხი:

ზუსტად უნდა გავერკვიოთ, თუ რა მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში - მოხდა თანხის უბრალოდ გადმორიცხვა თუ თანხები გადმოირიცხა ავანსის სახით, როგორც მომავალში მისაწოდებელი საქონლის ანაზღაურება. ბედნადები გამოიწერება მაშინ, როცა გადის საქონელი.

კითხვა:

წარმოე საქართველოს დაფინანსებით ვიყიდეთ 90 000 ლარიანი დანადგარი. თანხა სრულად გადავრიცხეთ საბლვარგარეთ. დღგ-ს დეკლარაციაში როგორ უნდა ჩამეთვალოს გადახდილი დღგ-ს თანხა. ან საერთოდ შეიძლება ჩათვლის უფლება? rs -ზე საბაჟო ოპერაციების ველში არანაირი დოკუმენტაცია არ იყო. მხოლოდ მატერიალური სახით მაქვს გადახდის და შეძენის დამადასტურებელი ქვითრები.

პასუხი:

იმპორტირებულ საქონელზე უცხოეთში გადარიცხული თანხიდან დღგ-ს ვერ ჩაითვლით. დღგ-ის ჩათვლა შეგეძლება, თუ განახორციელებთ დანადგარის იმპორტი და იმპორტისას საბაჟოზე გადაიხადეთ დღგ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტი იქნება ე.წ. საბაჟო დეკლარაცია.

კითხვა:

შპს-ს მივიყიდე საქონელი და გამოვუწერე ბედნადები და ანგარიშ-ფაქტურა. მისმა წარმომადგენელმა დავალიანება ფირმის ანგარიშიდან ვერ გადმორიცხა, აპარატიდან შემოიტანა ჩემს ფირმაზე. გვანტერესებს, საგადასახდო მიზნებისათვის სხვადსხვა პირად განიხილავენ თუ ერთი დაბეგვრის რეჟიმში მოხვდება?

პასუხი:

თუ თანხის შემომტანის იდენტიფიცირება შესაძლებელია და იგი წერილობით დაადასტურებს, რომ თანხა მყიდველი კომპანიის დავალიანების დასაფარად იქნა შემოტანილი (მაგალითად აქვს მინდობილობა თქვენი კლიენტი კომპანიისგან მისი სახელით თანხის გადახდასთან დაკავშირებით), მაშინ პრობლემა არ უნდა წარმოგეშვას.

ინფორმაცია პირუბიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის მაისში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიური კრონა	აშრო	ფუნტი სთერლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური გლოტი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.05.22	1,6535	4,3456	3,2338	3,8471	2,3467	2,7488	3,2963	6,9104	6,5357	0,8562	3,1306	3,1544	1,3166	3,0591
02.05.22	1,6535	4,3456	3,2338	3,8471	2,3467	2,7488	3,2963	6,9104	6,5357	0,8562	3,1306	3,1544	1,3166	3,0591
03.05.22	1,6460	4,3272	3,2190	3,8439	2,3462	2,7390	3,2415	6,8666	6,5066	0,8504	3,0912	3,1432	1,3061	3,0590
04.05.22	1,6296	4,2839	3,1869	3,7950	2,3161	2,7131	3,2091	6,7905	6,4423	0,8335	3,0644	3,1042	1,2911	3,0331
05.05.22	1,6350	4,2980	3,1982	3,8029	2,3311	2,7180	3,2289	6,8374	6,4647	0,8474	3,0761	3,0954	1,2975	3,0384
06.05.22	1,6464	4,3274	3,2198	3,8149	2,3333	2,7371	3,2603	6,8953	6,5057	0,8509	3,1102	3,1117	1,3079	3,0398
07.05.22	1,6415	4,3160	3,2110	3,7506	2,3262	2,7292	3,2206	6,8225	6,4880	0,8433	3,0685	3,0839	1,3078	3,0318
08.05.22	1,6415	4,3160	3,2110	3,7506	2,3262	2,7292	3,2206	6,8225	6,4880	0,8433	3,0685	3,0839	1,3078	3,0318
09.05.22	1,6415	4,3160	3,2110	3,7506	2,3262	2,7292	3,2206	6,8225	6,4880	0,8433	3,0685	3,0839	1,3078	3,0318
10.05.22	1,6415	4,3160	3,2110	3,7506	2,3262	2,7292	3,2206	6,8225	6,4880	0,8433	3,0685	3,0839	1,3078	3,0318
11.05.22	1,6351	4,2985	3,1977	3,7459	2,2925	2,7190	3,1237	6,8352	6,4656	0,8447	3,0137	3,0424	1,2828	3,0321
12.05.22	1,6328	4,2937	3,1934	3,7387	2,2925	2,7156	3,1357	6,8407	6,4546	0,8411	3,0328	3,0567	1,2569	3,0261
13.05.22	1,6328	4,2937	3,1934	3,7387	2,2925	2,7156	3,1357	6,8407	6,4546	0,8411	3,0328	3,0567	1,2569	3,0261
14.05.22	1,5995	4,2045	3,1286	3,6730	2,2331	2,6613	3,0678	6,6904	6,3258	0,8135	2,9808	3,0120	1,2637	3,0129
15.05.22	1,5995	4,2045	3,1286	3,6730	2,2331	2,6613	3,0678	6,6904	6,3258	0,8135	2,9808	3,0120	1,2637	3,0129
16.05.22	1,5995	4,2045	3,1286	3,6730	2,2331	2,6613	3,0678	6,6904	6,3258	0,8135	2,9808	3,0120	1,2637	3,0129
17.05.22	1,5866	4,1694	3,1028	3,6467	2,2371	2,6411	3,0357	6,6432	6,2720	0,8044	2,9530	2,9627	1,2554	2,9769
18.05.22	1,5936	4,1897	3,1181	3,6961	2,2480	2,6549	3,0656	6,7039	6,3015	0,8062	2,9841	2,9779	1,2622	2,9654
19.05.22	1,5837	4,1620	3,0973	3,6538	2,2301	2,6373	3,0335	6,6727	6,2609	0,8072	2,9609	2,9560	1,2551	2,9442
20.05.22	1,5734	4,1370	3,0789	3,6338	2,2068	2,6200	2,9804	6,6327	6,2224	0,7970	2,9309	2,9963	1,2461	2,9262
21.05.22	1,5715	4,1299	3,0738	3,6240	2,2066	2,6164	2,9976	6,6282	6,2121	0,8002	2,9338	2,9919	1,2454	2,9036
22.05.22	1,5715	4,1299	3,0738	3,6240	2,2066	2,6164	2,9976	6,6282	6,2121	0,8002	2,9338	2,9919	1,2454	2,9036
23.05.22	1,5715	4,1299	3,0738	3,6240	2,2066	2,6164	2,9976	6,6282	6,2121	0,8002	2,9338	2,9919	1,2454	2,9036
24.05.22	1,5685	4,1228	3,0677	3,6172	2,2054	2,6111	2,9960	6,6436	6,2006	0,8021	2,9250	2,9764	1,2479	2,8767
25.05.22	1,5706	4,1273	3,0706	3,5889	2,2044	2,6127	2,9789	6,6659	6,2091	0,7994	2,9242	2,9689	1,2446	2,8668
26.05.22	1,5589	4,0987	3,0488	3,5725	2,2048	2,5944	2,9740	6,6167	6,1715	0,7896	2,8966	2,9669	1,2391	2,8598
27.05.22	1,5589	4,0987	3,0488	3,5725	2,2048	2,5944	2,9740	6,6167	6,1715	0,7896	2,8966	2,9669	1,2391	2,8598
28.05.22	1,5698	4,1254	3,0689	3,6108	2,2254	2,6114	3,0060	6,6753	6,2083	0,7809	2,9084	2,9882	1,2424	2,8657
29.05.22	1,5698	4,1254	3,0689	3,6108	2,2254	2,6114	3,0060	6,6753	6,2083	0,7809	2,9084	2,9882	1,2424	2,8657
30.05.22	1,5698	4,1254	3,0689	3,6108	2,2254	2,6114	3,0060	6,6753	6,2083	0,7809	2,9084	2,9882	1,2424	2,8657
31.05.22	1,6273	4,2792	3,1833	3,7379	2,3117	2,7088	3,1335	6,9430	6,4389	0,8122	3,0271	3,0812	1,2886	2,9546

თარიღი	კანადური დოლარი	აშშ-დოლარი	ევროდოლარი	თურქული ლირა	იაპონური იენი	ახს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შეკელი	სინგაპურული დოლარი	შვეიცარიული ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგადადებული დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.05.22	2,4004	2,1915	1,6544	0,2063	2,3515	8,3286	0,7284	9,2042	2,2175	9,9775	4,6425	3,8981	4,0023	1,9991
02.05.22	2,4004	2,1915	1,6544	0,2063	2,3515	8,3286	0,7284	9,2042	2,2175	9,9775	4,6425	3,8981	4,0023	1,9991
03.05.22	2,3767	2,1630	1,6547	0,2055	2,3538	8,3283	0,7283	9,1527	2,2080	9,9772	4,6289	3,8983	3,9979	1,9724
04.05.22	2,3531	2,1474	1,6407	0,2039	2,3321	8,2578	0,7222	9,0014	2,1882	9,8927	4,5897	3,8647	3,9566	1,9448
05.05.22	2,3725	2,1658	1,6441	0,2049	2,3378	8,2723	0,7234	9,0152	2,1971	9,9067	4,5977	3,8712	3,9758	1,9622
06.05.22	2,3843	2,1923	1,6447	0,2045	2,3437	8,2761	0,7238	8,9784	2,2085	9,9178	4,5929	3,8729	3,9860	1,9783
07.05.22	2,3643	2,1535	1,6406	0,2029	2,3262	8,2543	0,7219	8,9194	2,1911	9,8788	4,5432	3,8624	3,9416	1,9507
08.05.22	2,3643	2,1535	1,6406	0,2029	2,3262	8,2543	0,7219	8,9194	2,1911	9,8788	4,5432	3,8624	3,9416	1,9507
09.05.22	2,3643	2,1535	1,6406	0,2029	2,3262	8,2543	0,7219	8,9194	2,1911	9,8788	4,5432	3,8624	3,9416	1,9507
10.05.22	2,3643	2,1535	1,6406	0,2029	2,3262	8,2543	0,7219	8,9194	2,1911	9,8788	4,5432	3,8624	3,9416	1,9507
11.05.22	2,3349	2,1134	1,6404	0,1989	2,3306	8,2551	0,7219	8,7747	2,1811	9,8830	4,5087	3,8626	3,9212	1,9172
12.05.22	2,3342	2,1204	1,6358	0,1974	2,3321	8,2388	0,7205	8,8217	2,1835	9,8634	4,5017	3,8550	3,9179	1,9189
13.05.22	2,3342	2,1204	1,6358	0,1974	2,3321	8,2388	0,7205	8,8217	2,1835	9,8634	4,5017	3,8550	3,9179	1,9189
14.05.22	2,3164	2,0753	1,6450	0,1946	2,3372	8,2028	0,7174	8,8068	2,1581	9,8140	4,4380	3,8381	3,8903	1,8810
15.05.22	2,3164	2,0753	1,6450	0,1946	2,3372	8,2028	0,7174	8,8068	2,1581	9,8140	4,4380	3,8381	3,8903	1,8810
16.05.22	2,3164	2,0753	1,6450	0,1946	2,3372	8,2028	0,7174	8,8068	2,1581	9,8140	4,4380	3,8381	3,8903	1,8810
17.05.22	2,3027	2,0576	1,6277	0,1906	2,3011	8,1048	0,7088	8,7120	2,1354	9,6936	4,3844	3,7923	3,8249	1,8665
18.05.22	2,3135	2,0853	1,6207	0,1871	2,2931	8,0735	0,7060	8,8230	2,1409	9,6656	4,3981	3,7777	3,8231	1,8872
19.05.22	2,2953	2,0668	1,6091	0,1846	2,2800	8,0158	0,7010	8,7936	2,1233	9,5965	4,3682	3,7513	3,7949	1,8710
20.05.22	2,2823	2,0501	1,5994	0,1832	2,2920	7,9668	0,6967	8,6179	2,1128	9,5471	4,3297	3,7287	3,7647	1,8593
21.05.22	2,2720	2,0526	1,5883	0,1821	2,2668	7,9053	0,6913	8,6809	2,1071	9,4796	4,3519	3,6999	3,7443	1,8600
22.05.22	2,2720	2,0526	1,5883	0,1821	2,2668	7,9053	0,6913	8,6809	2,1071	9,4796	4,3519	3,6999	3,7443	1,8600
23.05.22	2,2720	2,0526	1,5883	0,1821	2,2668	7,9053	0,6913	8,6809	2,1071	9,4796	4,3519	3,6999	3,7443	1,8600
24.05.22	2,2502	2,0468	1,5643	0,1820	2,2564	7,8320	0,6849	8,5759	2,0940	9,3979	4,3242	3,6650	3,7108	1,8647
25.05.22	2,2416	2,0294	1,5495	0,1779	2,2481	7,8051	0,6826	8,5607	2,0863	9,3717	4,2981	3,6522	3,6950	1,8451
26.05.22	2,2259	2,0204	1,5391	0,1755	2,2493	7,7860	0,6809	8,5192	2,0789	9,3458	4,2837	3,6432	3,6889	1,8469
27.05.22	2,2259	2,0204	1,5391	0,1755	2,2493	7,7860	0,6809	8,5192	2,0789	9,3458	4,2837	3,6432	3,6889	1,8469
28.05.22	2,2480	2,0461	1,5405	0,1748	2,2554	7,8021	0,6823	8,5373	2,0918	9,3681	4,2709	3,6508	3,6943	1,8684
29.05.22	2,2480	2,0461	1,5405	0,1748	2,2554	7,8021	0,6823	8,5373	2,0918	9,3681	4,2709	3,6508	3,6943	1,8684
30.05.22	2,2480	2,0461	1,5405	0,1748	2,2554	7,8021	0,6823	8,5373	2,0918	9,3681	4,2709	3,6508	3,6943	1,8684
31.05.22	2,3285	2,1220	1,5879	0,1805	2,3195	8,0441	0,7035	8,9072	2,1623	9,6650	4,4340	3,7642	3,8102	1,9338

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	ბელარუსული რუბლი	თურქმენული მანათი	მოლდავეური ლეი	სომხური დრამი	ტაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რიალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.05.22	4,2909	1,8047	1,1131	8,7403	1,6400	6,8264	2,4519	0,2736	1,0109	0,6895	3,6418	1,9250	0,6190
02.05.22	4,2909	1,8047	1,1131	8,7403	1,6400	6,8264	2,4519	0,2736	1,0109	0,6895	3,6418	1,9250	0,6190
03.05.22	4,3043	1,8046	1,1131	8,7400	1,6594	6,8223	2,4515	0,2730	1,0353	0,6913	3,6435	1,9281	0,6152
04.05.22	4,3595	1,7893	1,1037	8,6660	1,6263	6,7196	2,4288	0,2712	1,0266	0,6865	3,6560	1,8974	0,5964
05.05.22	4,5346	1,7908	1,1056	8,6811	1,6250	6,5890	2,4333	0,2719	1,0284	0,6940	3,6825	1,9196	0,6123
06.05.22	4,6551	1,7933	1,1061	8,6851	1,6213	6,3877	2,4336	0,2722	1,0482	0,7108	3,6641	1,9442	0,6179
07.05.22	4,5709	1,7886	1,1032	8,6623	1,6144	6,3609	2,4296	0,2724	1,0019	0,6899	3,6325	1,8909	0,6031
08.05.22	4,5709	1,7886	1,1032	8,6623	1,6144	6,3609	2,4296	0,2724	1,0019	0,6899	3,6325	1,8909	0,6031
09.05.22	4,5709	1,7886	1,1032	8,6623	1,6144	6,3609	2,4296	0,2724	1,0019	0,6899	3,6325	1,8909	0,6031
10.05.22	4,5709	1,7886	1,1032	8,6623	1,6144	6,3609	2,4296	0,2724	1,0019	0,6899	3,6325	1,8909	0,6031
11.05.22	4,3768	1,7887	1,1033	8,6631	1,6107	6,4919	2,4265	0,2721	1,0023	0,6906	3,6564	1,8845	0,5875
12.05.22	4,4197	1,7852	1,1011	8,6460	1,6013	6,5705	2,4217	0,2712	1,0293	0,6850	3,6492	1,8905	0,5894
13.05.22	4,4197	1,7852	1,1011	8,6460	1,6013	6,5705	2,4217	0,2712	1,0293	0,6850	3,6492	1,8905	0,5894
14.05.22	4,6982	1,7757	1,0963	8,6083	1,5869	6,6501	2,4139	0,2698	1,0216	0,6985	3,6186	1,8706	0,5868
15.05.22	4,6982	1,7757	1,0963	8,6083	1,5869	6,6501	2,4139	0,2698	1,0216	0,6985	3,6186	1,8706	0,5868
16.05.22	4,6982	1,7757	1,0963	8,6083	1,5869	6,6501	2,4139	0,2698	1,0216	0,6985	3,6186	1,8706	0,5868
17.05.22	4,6696	1,7545	1,0832	8,5054	1,5651	6,5552	2,3843	0,2669	1,0265	0,6891	3,5769	1,8288	0,5883
18.05.22	4,5924	1,7477	1,0790	8,4726	1,5555	6,4880	2,3766	0,2656	1,0043	0,6832	3,5647	1,8467	0,5860
19.05.22	4,5576	1,7354	1,0713	8,4120	1,5430	6,4031	2,3585	0,2641	1,0014	0,6797	3,5408	1,8506	0,5960
20.05.22	4,7102	1,7246	1,0648	8,3606	1,5290	6,3752	2,3444	0,2628	0,9954	0,6788	3,5902	1,8329	0,5886
21.05.22	4,7604	1,7113	1,0565	8,2960	1,5154	6,3493	2,3237	0,2618	0,9876	0,6828	3,5207	1,8327	0,5887
22.05.22	4,7604	1,7113	1,0565	8,2960	1,5154	6,3493	2,3237	0,2618	0,9876	0,6828	3,5207	1,8327	0,5887
23.05.22	4,7604	1,7113	1,0565	8,2960	1,5154	6,3493	2,3237	0,2618	0,9876	0,6828	3,5207	1,8327	0,5887
24.05.22	4,9280	1,6956	1,0468	8,2191	1,5026	6,3555	2,3028	0,2593	0,9785	0,6813	3,5464	1,8288	0,5894
25.05.22	5,0950	1,6897	1,0432	8,1909	1,4996	6,3707	2,2942	0,2587	0,9801	0,6890	3,5370	1,8259	0,5956
26.05.22	5,0012	1,6855	1,0406	8,1709	1,4967	6,3933	2,2893	0,2583	0,9666	0,6903	3,5014	1,8298	0,5934
27.05.22	5,0012	1,6855	1,0406	8,1709	1,4967	6,3933	2,2893	0,2583	0,9666	0,6903	3,5014	1,8298	0,5934
28.05.22	4,3259	1,6890	1,0428	8,1877	1,5050	6,3789	2,3991	0,2596	0,9727	0,6595	3,5086	1,8286	0,6010
29.05.22	4,3259	1,6890	1,0428	8,1877	1,5050	6,3789	2,3991	0,2596	0,9727	0,6595	3,5086	1,8286	0,6010
30.05.22	4,3259	1,6890	1,0428	8,1877	1,5050	6,3789	2,3991	0,2596	0,9727	0,6595	3,5086	1,8286	0,6010
31.05.22	4,7347	1,7424	1,0751	8,4417	1,5523	6,5979	2,5205	0,2678	1,0050	0,6928	3,5907	1,9110	0,6244

ფინანსური მართვა
აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება
საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადწყვეტილებების კომპრომენტირება.